

# ლიტერატურული მემკვიდრეობა

№10 (238)  
ოქტომბერი  
2018 წელი  
ფასი 40 თეთრი

გამოცემის გეოგრაფიული მდებარეობა

“LITERATURULI MESKHETI”

“ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

## რუსთაველი მარად ყოვლადღეობს!

— მიწვევანი, მომიგონებენ... — ბრძანებს რუსთაველი და რაც არ უნდა დიდი დრო გავიდეს, მაინც უკვდავად დარჩება და მისი მოგონებისა რა ვთქვათ, იგი თითოეულ ქართველში ისეა ჩამჯდარი, გათავისებული და უჭკნობი შარავანდედით მოსილი, რომ



რუსთაველის მსგავსი და მასზე აღმატებული პოეტი დედაძინაზე მეორე არ მოიძებნება, იგი პირველია, რომელიც ზოგადსაკაცობრიო იდეებს ქადაგებდა.

ქართველმა ერმა, მთელი თავისი არსებობის მანძილზე, ბევრი რამ დაკარგა, ბევრი რამ წაშლია, მაგრამ დიდი გოგალის არ იყოს: — „უთენებელი ბნელეთის შენ ერთი გვყავდი მოვევლი; სიმდიდრე ბევრი წაგვართვეს, შენ დაგვრჩი წაურთმეველი“!

ჯერ კიდევ 52 წლის წინ მადლოვანმა ქართველმა ერმა დიდი რუდუნებით აღნიშნა გენიალური პოეტისა და მოაზროვნის 800 წლის იუბილე და მსოფლიოს ანცნი, რომ პატარა ერსაც შეუძლია შუასაუკუნეების პოეტი...

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვეობამ ბევრი რამ გადააფასა, დრომ ახლებური აზროვნება მოიტანა და, ზოგადად, ქართული პოეზიისადმი მიდგომაც გადასხვაფერდა, ამ სახასიანაც, მჯერა, მალე მოიხდის საქართველო და ჭეშმარიტი აზრი გაიმარჯვებს, — „სანთელ საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს“!

პოეზიის ტრადიციულ სახალხო დღესასწაულზე — „შოთაობაზე“ კვლავ ხმაირბის რუსთაველი ხმა და თავს გვახსენებს, რომ ქართულ სიტყვას — პოეზიას, გადაშენება არ უნერია!

პოეზიის აღდგენილ სახალხო დღესასწაულზე — 29 სექტემბერს, ვარძიში, კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ პოეზიის თავყვანისმცემლები და პატივი მიაგეს დიდ თანამემამულეს. ამასთან, მერიისა და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურების თანამშრომლებმა გვირგვინებით შეამკეს სოფელ რუსთავსა და ასპინძაში დიდი წინაპრის ძეგლი.

საზეიმო განწყობა სუფევდა ციხე-ქალაქში, რომელსაც ალამაზებდა ხალხური რენვის ოსტატთა მიერ წარმოდგენილი თავიანთი შემოქმედების ნიმუშები, თვალს იზიდავდა საინტერესო გამოფენები; წარმოდგენილი ბავშვთა და მოზარდთა გასართობი საშუალებები, მაყურებელთა დიდ ნაწილს იზიდავდა მასობრივი სპორტული შეჯიბრებები, განსაკუთრებით ჭიდაობის არენა, სადაც მესხი ფალავნების სპორტული ხელოვნება მაგნიტივით იზიდავდა მათ, ასევე ტრადიციული საჯილდოო ქვის ანევის ცერემონიალი და სხვ.

ლამაზად მორთულ სცენას ამშვენებდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონის თვითმომქმედი კოლექტივები და ფოლკლორული ანსამბლები, რომლებმაც მართლაც დიდებული სამემსრულებელი ხელოვნება აჩვენეს. ქორეოგრაფიული და მუსიკალური ნიმუშები დიდ მთაბეჭდო-



ლუბას ტოვებდა როგორც ადგილობრივ, ასევე დედაქალაქიდან და სხვა რეგიონებიდან მოწვეულ სტუმრებზე. ანსამბლებმა „სამცხემ“, „წუნდამ“, „ქალთა ანსამბლმა“, „ვარძიამ“, ახალციხისა და ბორჯომის შემოქმედებითმა კოლექტივებმა ხელოვნების შესანიშნავი კულტურა აჩვენეს.

შემდეგ სცენა დაეთმო ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტის, ეპისკოპოს თეოდორეს (ჭუაძეს), რომელიც მხურვალედ მიესალმა და დალოცა მოწვეულ სტუმრები. მისა-სალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ასპინძის მერა როსტომ მაგარაქველიძე, მხარის გუბერნატორი ბესიკ ამირანაშვილი, სამცხე-

ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე. ტრადიციისამებრ ახლად დაქორწინებულებს მერიამ მზითვად გაატანა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემები.

„შოთაობაზე“ მოეწყო წიგნის — „მესხეთი ქართულ პოეზიაში“ (შემდგენელი ავთანდილ ბერიძე) წარდგინება, რომლის თაობაზე და მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა ამავე უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ მერაბ ბერიძემ.

როგორც ყოველთვის, აშვერდაც მოეწყო გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მიერ გამოცხადებული ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულთა საზეიმო წარდგინება: ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული პირველი პრემიის მფლობელი გახდა ახალგაზრდა პოეტი ნათია ჭინჭარაული; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაწესებული მეორე პრემიის — კობა არაბული; მესამე პრემიის — რომელიც დაწესებული იყო თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტისა და კერძო პირ ელდარ ალიევის მიერ — ეთერ თათარაძე და ფარნა რაინაული, ხოლო ანდრია პირველწოდებულის სახელობის თბილისის ქართული უნივერსიტეტის მიერ რელიგიურ თემატიკაზე დაწესებული პრემიის — ეკა კვანტალიანი.

შემდეგ სცენა დაეთმო მოწვეულ სტუმრებს: თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტის დეკანს დიმიტრი კორძიას; თავისი დიდებული პოეზიით კიდევ ერთხელ მოხიბლა მაყურებელი ქართული პოეზიის დედოფალმა თინათინ მღვდლიაშვილმა, სახალხო პოეტმა ერეკლე სალიანმა, იოსებ მაჭარაშვილმა, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მკოდნემ, ადგილობრივმა პედაგოგმა თეიმურაზ ხუციშვილმა წაიკითხა პოემის ერთი თავი.

ავთანდილ მისხი



## ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულები

### ნათია ჭინჭარაული

\*\*\*  
ალარასოდეს...  
არასდროს...  
ალარ...  
უკან მოხედვის მიზეზი გაქრეს!  
აქ გზა ყოველთვის იყოფა სადღაც,  
ვინ საით წავა ეგაა საქმე.  
კარგი დღეები თავს იფასებენ...  
ცული დღეები? — ორჯერ ორია,  
თუმც, როგორც ჩემი სისხლი, ასევე,  
მეც არასდროს ვცვლი ტრაექტორიას.  
ბედნიერება ვიცი აქვეა...  
ჩემნაირები მწერსაც არ კლავენ...  
ჰო,  
ყვავილები სხვების საქმეა,  
მე თუ მოვწყობივარ — მხოლოდ ვარსკვლავებს!

(უშენო სამუნო ფიქრებიდან)

ეგ არაფერი, ამ დღეს შენც თუ დაიგვიანებ...  
თითოეული ჩემი სიტყვა გზაზე შეგვხვდება...  
მე იშვიათად ვავიწყდები ადამიანებს...  
სხვა არაფერი...  
ეგ მეხერხება.

\*  
ისევ მიჭირავს მე შენი ხელი  
და გამუდმებით ვიძახი — აქ ვარ...  
ჰო, თურმე ფიქრსაც აქვს მავი ხერხელი  
და შეუძლია მანძილის შთანთქმა...

\*  
არაფერი მაქვს ამაზე მეტი..  
ლამეს ვაბრალებ ცივს, თავქარიანს,  
რომ შენზე ფიქრის თითოეულ წერტილს  
გულისცემაც კი საკუთარი აქვს..

\*  
დრო ამ ყველაფერს დალაგებს, ალბათ, როდისმე,

დაკითვებზე მეტს, დამიჯერე, სიტყვებს დაგტოვებ,  
რომ სხვამ ადვილად გადალაზოს, თუკი მოისმენს,  
ეს სიმარტოვე!

\*  
დრო ნაჩქარევი ნაბიჯებით მისდევს ტროტუარს...  
ყველა ტკივილი გვიანია, ყველა მოთმენაც,  
შენი ღიმილი ისეთივე უბოროტოა,  
როგორც ამ წყეულ ღრინაცელში ღმერთის მოსმენა..

\*  
სხვა არაფერი, ამ დღით ვარ საუეს...  
დროსთან თამაში... სადღაც სამი სვლაც...  
მერე დაგტოვებ ამ ცხოვრებას გახსნილი თასით,  
სარკემიც კი არ ჩაიხივდება გარეთ გასვლისას..

\*  
ცერად მითხარი, რომ ვერაფერს ვერ მივალწვედი...  
ქვეყნად მიწვევებს არ დავეძებ — მინა მოვლიე...  
მე გასულ ღამით ზღვის ტალღებზე მთვარეს ვარწვედი,  
და საქმლის ნაცვლად სულს ვატანდი მოსულ თოლიებს...

\*  
შენ ყველაფერი, შენ სიკეთე, შენ „მშვიდი ცურვა“,  
მე ნიუარაში მომწყვდელი მოქცევის ხმა ვარ...  
და მამატი იმედები რომ გაგიტრეუე,  
შენში ცხოვრება მამატი დაუკითხავად!

\*\*\*

დრო აღარ იცდის,  
დრო შორს მიდის ზუსტი განრიგით  
და ველარაფერს დაბარუნებ უკან ვერასდროს...  
„სამშობლო უფრო ღრმა არისო და უფრო შიგნით“ —  
მესმის ჰელადოს!

ვამართლებ სულ ყველა სურვილს და სახლიდან  
არ გამაქვს ძვირფასი ნივთივით  
ბავშვობა,  
რომელიც ახლახანს საძილე აბივით მივირთვი..

უფლებს, რომელიც წამართვეს,  
ამართლებს ალბათ ამ საქციელს...  
ერთი შეხედვით, ასე თვალ-ზომით, ეცადნენ,  
თუმცა ვერ წამაქციეს,

ჰო, იმხელა მაქვს სიყვარულის დიაბაზონი...

სადაც გულია, სადაც მე ვარ, სადაც ქრისტეა —  
ნუ შემომიჭერ მავთულობარტებს ყელზე ყულფებად,  
ჩემი გონება — ეროვნული ანარქისტია!  
ჩემი იდეა — თავისუფლება!  
მე — სახსოვარი პოეზიის ყველა სტიქიას...

ცხელი ტყვიები...  
აფხაზეთი...  
მითხრა — გადავრჩე!  
ჩემზე არავის ისე ძლიერ არ უფიქრია,  
როგორც სიკვდილის პირას მამაჩემს..

\*\*\*

მითხარი თუკი სადმე ან ვინმეს  
მონატრებია ასე ალაღად  
შენი თვალების მომწვანო მღვიმე  
და თითოეულ სიტყვას დავმალავ.

დღეს რახან ცაზე გაბნეულ ეკლებს  
უკვე წამოვდე სიზმრის კალთები,  
გეტყვი, რომ ფიქრსაც ჰყოლია მეკვლე  
და არაფერზე გეკამათები.

მშვიდად იყავი, ვარ სალესავი...  
შენს სასიკეთოდ ალბათ გავა დრო...  
მომდომებია წერა სხვადავით  
მაგრამ ცხოვრება, მენდე, არასდროს!

\*\*\*

მძიმე დღეები აქ მომავლის დღეებსაც ხრავენ,  
ახლა ამ ცამდე მანძილია ცალოსხად მოკლე...  
შენ არ გინახავს ალბათ „ქარის შიგნითა მხარე“,  
მე კი არ მინდა მის გარეთ მოვკვდე!

ნაცნობ მუსიკას ვისმენ ისევ რელსებ ქვეშ თითქოს...  
გულით ვფიცავარ, სასიკეთოდ დამაქვს ფიქრები,  
სწორედ ამიტომ მე ღმერთისგან არაფერს ვითხოვ,  
და თუ მოვიტხოვ, უსამართლო არც მანდ ვიქნები!

# ლიტერატურულ პენსიონარში

## კობა არაბული

### პოეზიის განცდა

ისე გრძნობს ჩემს ლექსს,  
როგორც ხავსი მდინარის ტალღას...  
როგორც ქარი უდაბნოს მირაჟს...

ის ხედავს ჩემს ლექსს,  
როგორც ბეჭვს „ნაკითხულ“ სიზმარს –  
პიქტოგრამების „Fata Mmorgana“-ს...

გადმოიბრუნს ფეხშიშველი ნათლული ბანზე:  
ჩამოვარდნილი კენჭის ჩქამი  
გააღვივებს ჩემს ემოციას...

როგორც კედელს,  
ზოგჯერ ისე ეჯახება ქარი ჩემს ვერლიბრს...  
შენი მზერა იხდის პარაკლისს –  
საკუთარ თავში გაჩენილი ამოუბრის...  
ნუ შეგაკრთობთ, „კირჩხიბებო“,  
მთვარის სინათლე,  
შუქს თუ გაჰყვებით, ზღვებში აღარ  
დაიკარგებით...  
არ ჩარჩებით პოეზიის აკვარიუმში,  
როგორც თევზები...  
გადაიხადეთ პარაკლისი „ლექსის აღვების“(!)  
ტიკტიკით ნუ ტიკტიკებთ ბოლმის მორევში,  
ნუ დგებით გზებზე შხამიანი სოკოებივით,  
ორეულეობს სხვისი ნიგნების...

თითქოს პარასკევდაკარგულმა გავიღვიძე  
დროის გვირაბში:  
„Fata Mmorgana“ –  
პიქტოგრამების მირაჟი მხვდება  
კობალას ქვებთან...  
პიტეკანტროფის მღვიმეებში,  
როშკის კლდეებთან, –  
ლექსი გაქცევს დროსთან მორკინილად!..

### ხილვა

(შესვლა პანტომიმის თეატრში)

შენ გამოხვედი პანტომიმის თეატრიდან  
პოეტის ნიღბით –  
დაასრულე გრძელი სპექტაკლი...  
გადახვედით მეტეხის ხილით,  
აიარე ღვინის აღმართი...

გორგასლის ძეგლთან იდგა მოხუცი პატრიარქი.  
ცხარედ ტიროდა – „მზეს ცვარს ხოცავდა!“...  
„ეს სისხლიაო!“ – ჩაიხედა მდინარისაკენ –  
სისხლიანი მიდიოდა მდინარის წყალი...

მომიხლოვდა:  
„ნადი, ერთი ხბო იყიდო,  
ყველამ გაზარდეთ თითო ხბოო...  
დაანებეთ პანტომიმის სპექტაკლებს თავი!...“

\*  
გამეღვიძა სხვა უბანში:  
საშინელი ვირუსით და ემოციით...  
ჟრიალებდნენ სიციხის ეფენები:  
დულდა ჩემი საკეის ქარი,  
როგორც ლუდი სვით შემთვრალი...



\*  
რა მესიზმრა,  
ანუ რა იყო ეს სიზმარი:  
რა ატირებდა მოხუც პატრიარქს მეტეხის ხიდზე?..  
რა იყო ის ხბო:  
იქნებ – სიკეთე...  
ან – სიმშვიდე...  
ან – ძველი ნიგნი...

თუნდაც იმედი...  
მართლაც მომინდა, ხბო რომ მეყიდა!..

\*  
ჩამძინებოდა ცოტა ხანს კიდევ:  
რალაც ცხოველი დადიოდა ჩემს ძველ სახლში,  
თითქოს შველი... თუ თოჯინა? –  
ანგელოზივით მიყურებდა სარკის ჩარჩოდან? –

„გულის ადგილას ბუდე მაქვსო – მეუბნებოდა –  
ნუ გეშინია, გადავრჩითო!“ –  
ტიტიკებდა როგორც ბავშვი,  
წარმოსთქვამდა ქართულ სიტყვებს...  
მიხაროდა, ეს არსება ქართულად რომ  
ლაპარაკობდა...

„თავიდან ვსწავლობ ქართულ ენასო“...  
თითქოს ტიროდა ვაჟას შველივით...

\*  
გამეღვიძა: კარგად ვიყავი...  
რა ხილვა იყო, რა სიზმარი,  
მულტიფილმივით...  
ჩამცხრალიყო ჰაიმორიტი...  
გარეთ ხე ჩანდა – ჩიტის ბუდით –  
ვინრო სარკმილიდან ...

\*  
ძლიერ მომინდა პანტომიმის თეატრში  
ნასვლა,  
გამახსენდა ერთი შემთხვევა:  
ჩემი ახლო მეგობარი სულ მპატიჟებდა  
ამ თეატრში – ვერის დაღმართთან...  
და ერთ სისხამზე ბედისწერამ დადგა სპექტაკლი:  
ერთი მანქანა და ერთი კაცი  
ვერ ასცდნენ ერთმანეთს მეტეხის ხიდან...  
ბალდახინმა გაიტანა?! ეს არტისტი  
ოქროსთმიანი:  
„პანტომიმის ოლივი“ –  
ძვლებ დატეხილი მოსვენებს ღამის  
სპექტაკლებზე...

\*  
ამის მერე:  
აღარ მიხდოდა ეს თეატრი.  
ახლა მომინდა, 2 წლის შემდეგ  
თეატრში ნასვლა: ძველი ტკივილის  
გაცოცხლება...  
ვის ჩაუტყდა დროის ხიდი ამ სცენაზე  
ეს თეატრი ცხოვრებაა, თუ სახიობა...

რა სპექტაკლია ეს სპექტაკლი –  
რეჟისორი, თუ ბედისწერა რომ  
ადგმევიწებს?!  
ვინ მიიწვევს უფლის ნებას, როგორც ილაპარაკ...  
\*  
„მემენტო მორი“ – ანერია ყვითელ აფიშას –  
როგორც მაშინ?..

მე შევედივარ პანტომიმის თეატრში ნიღბით...

### წყლის საქანელი

თუკი თიბათვეს ჩამოვჯდები  
ქარის ბორბალზე  
და მზის ბორჯღალი გადაგიყვანს  
გულდამაყრისკენ...  
წყლის საქანელი გაგაქანებს  
ზეცის მოლბერტზე...  
სხივებს დაგიყრის ღამის მთვარე  
ოქროს საწმისზე...

როცა მზის კვერი მობრუნდება  
ლექსის კალოზე,  
ხარის უღელზე ჩამოვჯდება  
ქალი ხვარამზე –  
სავსე ძუძუებს დაანველის ვაჟის  
ჭრილობებს,  
დაღუბულ ნახმლევს  
გადახვევს ქრისტეს ბალახებს!..

თუ შენ არ იცი,  
რომელია ქრისტეს ყვავილი,  
ცრემლებს ვერ მოგბანს დილის ცვარი,  
მთვარის ნაჟური...  
მდინარის ქაფი, ჩქერალები  
რიჟრაჟჩამდგარი  
და შორი ციდან მოსაუბრე  
ღრუბლის მაგვარი...  
ვერც შენი კიბე ვერ იქნება მთვარის  
ანბანი,

ცასთან მიდგმული საფეხური  
ასომთავრულის...

შენი ილბალი ვერ იქნება  
ცხადი სიზმარი:  
გადაწერილი ღამის გზაზე  
დედის პირჯვარი!

## გაქრავა და დაზრუნება

საოცარია:  
უკან წასვლა,  
უკან გაქცევა...  
სადღაც შედიხარ,  
სადღაც ბრუნდები:  
ძველ ქალაქებში...  
ძველ ნასახლარში,  
ძველ ნანახში, თითქოს ახალში!

მე ვბრუნდები ჩემს სოფელში,  
მაგრამ უცნობში:  
უცნობ ჰაერში,

ქადაგი გეტყვის:  
შამანი სვი, თორემ მოკვდები,  
დარდი წავიღებ,  
ჩაგაძინებს ტყეში სიზმარი,  
ივლისის თვეში გველის შხამით მოინამლები!..

შხამი გახდება შერიგების ჩვენი მიზეზი,  
შენვე მომიხვალ, მომიჯდები წნელის ლაჭანთან –  
ტალ-კვესს მოიტან,  
აბედს დამდებ გველის ნაკებზე...  
შენვე მიშველი ცეცხლის ალით,  
სიტყვის სალბუნით...  
გაგელვიძება, გაგიღვება ჟანგი უღვაშზე...

არ ევარგება,



უცნობ დარში,  
უცნობ ნვიმებში...  
სხვა გემო აქვს ამ ქვიან მდელის,  
ამ ჟანგიან ქვევს ციხის ნაშალში...

სხვა ყვავი აზის ჯახველის ხეებს –  
ქალის სისხლისფერს...  
შეუძლებელ მომავალს ხედავს ჩემი სიტყვა,  
შეუძლებელ დროში ფარეზობს:  
სიტყვას უნდა ისეთი რამ,  
რაც არ არსებობს...  
\*\*\*

შენ გუშინდელი გეცხადება,  
როგორც უცნობი...  
და მომავალი გეხილვება შარშანდელივით...  
არც დღევანდელის არ გვაქვს განცდა,  
ერთი ნაცნობი ალარ გვხვდება  
გარეთ გამოსულს...

ის ერთი სახეც იფარება ნიშნის ვუალით,  
დავიწყების ღრუბელი ადგას მზიან ღამეებს...

წერ ისეთ რამეს,  
რაც არ არის და არ ყოფილა...  
წერ ისეთ რამეს,  
რასაც გრძნობ და არ იკითხება...  
ვერც სიბერეს ვერ ვუბრუნებ  
ალვისების განცდას!  
გაიქეცი, გაასწარი შენს სიბერეს!  
დაბრუნდი უკან... დაენიე შენს ბავშვობას!!!

### უძმრახობის დრო

არ ევარგება,  
რომ ვიჩხუბოთ კიდევ, ბაბუკა,  
კიდევ ერთი თვე დაგეჭირდება შერიგებისთვის,  
შენ გაბუტული იბუტუტებ ბზიან ჭერხობში,  
მე ტყეში წავალ  
და შხამიან სოკოს მოგკრეფავ...

ორეული ჰყავს ყველა სოკოს,  
ყველა მცენარეს –  
მე მწარე შხამით ვინამლები დიყის ბორჯებში...  
ორეული ჰყავს ყველა კაცს და  
ყველა მდინარეს,  
შენც ორეული მოგყვება და სხვაგან მიჰყავხარ?!

სულ სხვა მდინარე ატივტივებს  
მღვრიე ტალღებით,  
სამოთხის წყალი ვერ დაგიღობს  
ხმელ-ხმელ იოგებს,  
გაბრაზებული გიჭირალებს მუხლის ღვედები,  
ისე დადიხარ, შუა ზღურბლზე წამოედები!..

რომ ვიჩხუბოთ კიდევ, ბაბუკა,  
კიდევ ერთი თვე დაგეჭირდება შერიგებისთვის!..

შენ გველი დაგვხვს,  
მე სოკოთი მოვიწამლები,  
შხამი დაგვზაფრავს  
უმძრახობის სიმარტოვეში...

## ფარნა რაინული

საქართველოს, – ანუ და...  
უკვდავებურ შენა ხარ!..

ესაა –  
უფლის წყალობა, –  
სამოთხე ჩვენთვის ენახა,  
ჯერ იყავ  
ვაზის მტევანი,  
მერე...

გაქციეთ ვენახად...  
შემოგვრჩი ზღაპრად,  
ლეგენდად,  
სანთლით ვლოცავდით  
ყველა ხარს,  
გვეხნა, გვეთესა, გველენა,  
მინა მსუბუქად გველახა!

ვინა ხარ? –  
სიბრძნე დაეთისი,  
შოთას გრძნული ენა ხარ,  
„მხოლოდ გმირს ჰქვია  
ქართველი“, –  
ჩამოგვძახოდა ზენა ხმა...  
ეჰე! –  
ბევრს სურდა ეგ ხატი  
ფეხქვეშ გათმული ენახა,  
ეჯიჯგნა, ეჭრა, ეკუნა,  
ენამა, ეწვა, ელახვრა...  
მახვილით, სულით ლაყვარდი  
მანც ვერავინ შელახა...  
შენა ხარ  
ჩვენი ცრემლები,  
და...  
უკვდავებაც შენა ხარ!..

### ჭიბნი, ანუ საგალობნელი იესოს

ღვთიური გონის მეუფე,  
ჩვენი უფალო, იესო,  
გეთაყვანებით მზეთა მზეს, –  
მინიერსა და ციერსო!..  
რწმენას მარადი სიკეთის

# ბამბარაჭყმებუღმები

საესავს ჩუმს და ხშიერსო,  
 ბავშვს უყვავილებ სიყვარულს,  
 სანატრელ დღეებს – ხნიერსო!..  
 ლოცავენ სიბრძნეს შენს მიერს  
 ნათლით შემოსილ იერსო,  
 სიძულვილს უხდი სიკეთით  
 აპურებ სულით მშვიერსო!..  
 სასწაულმოქმედ მაცხოვარს  
 რა სატანურად გდიესო,  
 სულის მზე, სულის ლაფვარდი,  
 ბევრს გულზე ეკლად მიესო...  
 სიტკობ სიმწარედ აქციეს,  
 ბადახში შხამი რიესო,  
 ანკარა წყარო ამღვრიეს,  
 მერე გვასმევდნენ მღვრიესო...  
 ასხივებ ათსა მცნებასა,  
 ყველაზე მართალს, ძლიერსო,  
 ჯვარზე გაგაკრეს ხორციტა,  
 სულით კი ვერა გძლიესო!..  
 „ბოროტსა სძლია კეთილმან,  
 სიკვდილს – სიცოცხლემ“, –  
 თქვი ესო,  
 თრგუნავ სიფლიდეს, სიცრუეს,  
 შეუდნე მზაკვარს, ცბიერსო...  
 ღვთიური გონის მუფუფე,  
 ჩვენო უფალო, იესო,  
 გეთავყვანებით მზეთა მზეს, –  
 მინიერსა და ციერსო!..

## წათამდისწ ხელი აპყონ, ანუ მონოლოგი შოთა რუსთაველისა ჯვრის მონასტერში

ბედმან ჩემმან, –  
 შეთმან, <sup>1</sup>  
 ერთმან,  
 მტკიცა: არა,  
 არ-რით-პოცა,  
 ვის – შაირი მომცა  
 ღმერთმან, –  
 ლხინთა კრეფად,  
 ჭირთა ხოცად...  
 რად მიმუხთილა სიყვარულმან?  
 სევმან: ავმან, შავმან,  
 კრულმან?  
 ცეცხლმან,  
 ალმან, –  
 დაფარულმან,  
 მე რად, ნერად დამსვა მუნ? მან?...  
 ეგ ზომ? შრეტი  
 ნავალ როცა, –  
 ცნან...  
 არ მოველ –  
 მოლზე მოცვად,  
 ავმზევდები:  
 როცა ოცად,  
 ალაპყრობენ ხელებს ლოცვად!..  
 ზარებს რეკდენ:  
 ა-ონ!  
 ო-ონ!..  
 შაის ჰზმიდენ, <sup>4</sup>  
 ოჰ! -პყონ,  
 აჰ! - პყონ,  
 ლექსი –  
 ჩემებრ,  
 ვერსად ჰპოვონ, –  
 ცათამდისცა ხელი აპყონ!..

## აი, მთავარი, უნინ!!!

უმთავრესია, –  
 ახლა „ა“ იქნება თუ –  
 „უ“ წინ...  
 როგორ გადავრჩეთ,  
 მიწყვი, –  
 უწინარესად უნინ!  
 დასაბამიდან – მოვდევთ  
 გზას, სათნობით სადარს,  
 ვერ მივაგენით მაინც,  
 სასრულ-საწყისი სად არს...  
 ციცაბო არის ეს გზა, –  
 ქარაფი არსად – ველით...  
 \*\*\*


1 (რუსთ. 134,288,4) სიყვარულით გა-  
 გიჟებული;  
 2 (რუსთ.2,4) იქ.  
 3 (რუსთ. 865,1;878,1) ეგრე;  
 4 (რუსთ. 526,1) ოხრავდენ

სულ ვფორიაქობთ, ათას  
 სკილა-ქარიბდას  
 ველით...  
 ვერ გამოიბა ჩვენმა  
 ეპოქამ სიბრძნის ვაშლი,  
 მეც, აჰად, ლექსის სტრიქონს  
 ფიქრს და კაემანს ვაშლი...  
 ცილის, ღვარძლის და ქიშპის, –  
 ზღვა-წიაღვარი  
 რო დის,  
 ჩვენს მხრებზე თავი ჩვენი  
 დაგვეყუდნება როდის?...  
 ერთობისათვის – ერთნი  
 ვაცხელებთ კეტებს, არ-თავს...  
 ცხრა მთას იქით კი, ვილაც,  
 ჩვენს ბედს და ილბაღს ართავს...  
 თუ არ გავიდეთ ხიდად,  
 ძმა რად გვინდა და და – რად?  
 ქართულს დავმარხავთ, თუკი,  
 ვიქნებით თხა-მგლის დარად...  
 ამბობენ: ყავლის გასვლას –  
 ეროვნულობის „მოდის“...  
 რალაც, – დიადი მიდის,  
 რალაც – ურჩხული მოდის...  
 დემოკრატიის ნიღბით,  
 ვინაც მიზანი ფარა,  
 იმ მგლებს მოუნდა ახლა,  
 რომ მწყემსონ ცხვრების ფარა...  
 თითქოს, – ჩამოწვა ნისლი  
 და სხივი არ კრთის, არსით...  
 თითქოს არსებითს ვკარგავთ,  
 ამ, – „გლობალიზმის“ არსით...  
 სიბრძნის, სიქველის დროში  
 ვინლა აწაღებს ახ! აღს?...  
 ოცი დავხურეთ ჯვარცმა,  
 ვინ, ვინ ამზადებს ახალს?!  
 ტახტზე ძალა ზის ისევ,  
 ზეიმი არის ვისი?...  
 იზოლდა სძულსო ტრისტანს,  
 რამინს – ველარ სცნობს ვისი...  
 გუშინ ერთობდა ეშმა  
 დღეს კი ათობს და ასობს,  
 ღიმილით დროის ისარს  
 ზედ გულის კოვზე ასობს...  
 სიცოცხლის ზღაპრულ ყვავილს  
 ვთელავთ, ვიყენებთ რაში?...  
 დრო მიჭიხვინებს, მიჭქრის,  
 ვითარც უმხედრო რაში...  
 ქვეყანა, ერი, ხალხი, „ა“ – იქნება  
 თუ „უ“ წინ...  
 როგორ გადავრჩეთ, –  
 მიწყვი,  
 აი მთავარი – უნინ!..

## ეთერ თათარაიძე

\*\*\*  
 ჩიტო, რო ჩამოსტიროდ  
 საჩიკრიკოს მთაზე,  
 ჯეგ-ჭალა,რო იბზარვოდ  
 შენ ანამდულარ ჯმაზე.  
 რა' ეზმისავ ჩემ ბარტყთავ  
 სამ კვირა'ის თავზე,  
 თიბა-სამკლობა დიწყოვ, –  
 აღარ რო ხარ ჭკევაზე.  
 რა'ით ვერ დი'მაჰსოვრედ  
 ბუდე ვერ დი'დგ მთაზე,  
 ახლაც ტირილით მოხფრენ  
 ჩიკრიკის მრეც გზაზე,  
 მე ახლ რა გისაშველვ...

\*\*\*  
 ფთათეთრ მტრედის მეტ ვინ შევ  
 ფთიან ანგელოზებთან  
 მივიწყებულ საყდარში.  
 წითელ ფეჭებ გულს ნაკონ  
 სუ აქ არის აეს ფრინველ  
 დარშია თუ ვედარში.



აი, ახლაც საყდრისაკ  
 აქვის გეზ ალბულო-დ  
 თვალ უნდ და'ვლოს ზამთარში.  
 თავზე ლამის რეტ დე'სხას,  
 მაგრ მაინც საყდარს დაღბრუნს  
 ამ ცქრიატა' ავქარში...  
 ფთაქათათა' მტრედის მეტ  
 ან ცხვა ვინ უნდ შებედოს  
 მივიწყებულ საყდარში.

\*\*\*  
 დღე მოკლდება, ღამე გრძელდება,  
 მთვარე ნელ-ნელ ბერდება,  
 ცა,წმირად ნაცრისფერ მფარ,  
 საფიქრელით მტრედება,  
 დღე ერთ წამში გადასად-დ  
 ღამე ძლივ თენდება.  
 რა' ღონე გაში ღვ ზამთარმ, –  
 თოვლ უფრედ-უფრ ბევრდება,  
 დღე მოკლია, ღამე გრძელ,  
 მთვარე ნელ-ნელ ძველდება.

\*\*\*  
 ვუთხარი ნუშია ხეს: დაო,  
 მიაბზე ღმერთზე და ნუშის ხე აყ-  
 ვავდა...  
 ნიკოს კახანიძისი.  
 ბერძენი მწერალი

მეაც მინდ, ნუშის ხედ ქნოლ  
 ღმერთის აწსენებაზე  
 ავიპენტო-დ ავყვავდ.  
 მემრ ი'ს ყვავილ არ გავყვარვ,  
 ადამიანად არ ვიქცვ,  
 ყვავილშილ ხედ გავქვავდ.  
 მარტო ღმერთზე რო ვიფიქვრ...

\*\*\*  
 შოორ, თეთრ მწვერვალს  
 ღვეგებარავ,  
 მარტო მზის სხივ გეხებავ, –  
 ერთ მოკეთემ მითხრ.  
 ევე, მაგამ ვერ იცის,  
 თავს რო მატყდებ მეხები-დ  
 ტანს რო მსიავ ფითრ.  
 აეს სამზეო რო გითხრ...

## კაკა კვანცალიანი

### კვართი სვეტიცხოველთან

როგორც დროშები ფხოველთა,  
 ღრუბლებს გაშლიათ აფრები...  
 ჰგავს კვართი სვეტიცხოველთან –  
 ანგელოზს ცაში აფრენილს...  
 კვლავაც შადიმანს ღალატით  
 ქართლის ცა რად შეუზარავს?!..  
 სააკაძის ხმაღს დაგნატრით  
 და ვახტანგ მეფის მუზარადს...  
 მზე შუბის ტარზე დახრილა,  
 ჯვართან შეიკრა კამარა...  
 მეფე ერეკლეს მახვილმა  
 მტრის ჯავრი დაასამარა...  
 როგორც დროშები ფხოველთა,  
 ღრუბლებს გაშლიათ აფრები...  
 ჰგავს კვართი სვეტიცხოველთან –  
 ანგელოზს ცაში აფრენილს...

### მთავარანგელოზ რაფაელის მისტერია

როგორც არასდროს ბოროტი  
 იბრძვის,  
 თუმც რას დააკლებს ღვთის მადლს



მტრობითა...  
 საკვირველია ღვთიური სიბრძნე...  
 ტობიას გზავნის გზაზედ ტობითი...  
 მას თან მიჰყვება მგზავრი  
 ნუგუმად,  
 მსხნელი – მდგომარე უფლის  
 ნინამე...  
 ზოგნი კი დგანან ცოდვის გუბეში  
 და ვერ იხილეს უფლის ნიშანი...  
 მსლებელმა მისმა ბევრჯერ  
 უნამლა,  
 აუნყა სიტყვა ღვთისა ტობიას:  
 „უსამართლობით მოხვეჭას  
 მრავლად,  
 მცირე გქონდეს და შრომით  
 ჯობია...“  
 თევზის გულ-ღვიძლით  
 გაჰკურნა სარა,  
 ნალვლით კი ტობითს თვალნი  
 განუხვნა...  
 წმინდა გულისთვის, ეს არ აკმარა  
 და დაუბრუნა სიმდიდრეც უხვად...  
 გაჭირვებაში ღმერთმა ისმინა,  
 ქველნი საქმენი რომ გაიხსენა –  
 მთავარანგელოზ რაფაელს,  
 წმინდას  
 ტობითის ოჯახს უგზავნის  
 მხსნელად...  
 ვერა დაგაკლოს ამქვეყნად  
 მტრებმა,  
 რწმენა უფლისა გფარავდეს ოდეს  
 ...  
 „ჰქმენით სიკეთე! და ბოროტება  
 ველარ მოგაგნებს ველარასოდეს!“

\*\*\*  
 კოლიზეუმი ...  
 (ანუ „Qvo vadis  
 Domine?“)  
 მზემ არეკლა გუმბათებზე  
 სისხლისფერი,  
 კოლიზეუმს გადაეკრა ჩრდილი,  
 გორაკებთან გაირეკა მწყემსმა  
 ფარა,  
 გზაზედ მგზავრმა ხელი  
 მოიჩრდილა...  
 რომი გახდა ვაების და ტანჯვის  
 ცენტრი,  
 ტვირთი მისი მძიმეა და რთული,  
 ტოვებს ქალაქს მოციქული წმინდა  
 პეტრე,  
 ქრისტესათვის კაცთა მებადური.  
 აწყდებიან ტალღებივით  
 ამფითეატრს,  
 ხალხის მალე დაიწყება დენა...  
 ქრისტეს მსახურთ მერემდენე  
 უკვე თვეა,

განსაცდელი კვალში დაედევნა...  
 წმინდა პეტრეს, ცრემლი მოსდის  
 თვალზე ღვარად,  
 დაიღარა თვალნი, როგორც  
 ცვილი,  
 უცებ გზაზე ციდან შუქი დაიღვარა  
 და მოხარა თავი შევერცხლილი...  
 ნათლის სვეტში ხედავს, მისკენ  
 მოდის ქრისტე,  
 საუკუნედ მოეჩვენა წამი...  
 შეეკითხა: – „საით მიხვალ,  
 უფალოო? – „რომში“ ისევ,  
 უთხრა: – „რომ ვენამო!“  
 მიხვდა პეტრე, უფლის ნებას რაც  
 კი სურდა,  
 მყისვე ადგა მონივნით მდგომი...  
 და მაშინვე ქალაქისკენ  
 შემობრუნდა,  
 მასაც ჯვარცმით ელოდება რომი...  
 დღეს კი, როცა განთიადზე  
 კოლიზეუმს  
 მენამული მზის ხევევა ლალი,  
 ისევ ახსოვს დროებისგან  
 თითქოს ეულს,  
 ცრემლიანი ისტორიის კვალი...

### კარე უწნობი...

ბნელ ქუჩაბანდში სახლებთან  
 ახლოს,  
 კაცი უცნობი ვინმე გაჩერდა...  
 შორით უმზერენ და ერთი  
 ცნახოთ,  
 აკვირდებიან ... ის ვერ ამჩნევდა.  
 ერთმა თქვა: – ვფიქრობ, მოელის  
 სატრფოს,  
 მის სულსა ვხედავ, თითქოს  
 სარკეა...  
 მეორემ: – ღამით, საძარცვად  
 –სამტროდ  
 მიეჩქარება... ავაზაკია!..  
 მესამემმა თქვა: – ეს კაცი, ალბათ,  
 იქნება ვინმე მორწმუნე დიდი,  
 რადგან არ ეყო დღეს ლოცვა  
 ტაძრად  
 და ღამისთვის წირვაზე მიდის...  
 დასკვნა ერთია: (გარეთ ქრის ქარი,  
 ღამის ღამიონის სარკემლთან  
 მიქრობს...)  
 ადამიანი როგორც არის,  
 სხვაზე იმავს ამბობს და  
 ფიქრობს...

\*\*\*  
 ყველაფერს ცოდვა ნასკვავს,  
 ქრისტე, სინანულს უცდის...  
 უფალი იტყვის დასკვნას ...  
 სამყაროს ბოლო ფურცლის...  
 უკვე თვეა,





პოემა „ვეფხისტყაოსანი“ პოეტური გენიის სრულყოფილი ქმნილებაა. იგი შედის მსოფლიო კლასიკური პოეზიის უდიდეს ნაწარმოებთა საგანძურში. იგი სასურველი ნიგნი გახდა არა მარტო არისტოკრატულ წრეში, არამედ საზოგადოების დაბალ ფენებში: მეომრებში, ხელოსნებში, გლეხებში. ვინც წერა-კითხვა არ იცოდა, მოსმენით სწავლობდა სხვისგან ნაკითხულ და ამბად მონათხრობი პოემის სიუჟეტს, მისი გმირების საარაკო თავგადასავალსა თუ ბრძნულ აფორიზმებს.

ვინ იყო ამ უბადლო ნიგნის დამწერი? თხზულების ავტორზე პირდაპირი ცნობები არ ჩანს საქართველოს ისტორიული და კულტურული ცხოვრების ამსახველ ადრეულ საუკუნეთა დოკუმენტებში. ის ხომ გამორჩენილი პიროვნება იქნებოდა იმდროინდელ საზოგადოებაში, როგორც ნიჭით და განათლებით, ასევე ოფიციალური თანამდებობით!

„რუსთაველი“ გეოგრაფიული ადგილიდან მიღებული გვარ-წოდებაა. შუა საუკუნეებში დიდებულები და აზნაურები თავის ძირითად გვართან ერთად ატარებდნენ მამულის ან ციხე-ქალაქის აღმნიშვნელ გვარ-წოდებასაც, რაც მათი შთამომავლობისათვის უკვე ნამდვილ გვარად იქცეოდა. ასეთი პირები ოფიციალურ საბუთებში იხსენიებოდნენ ან ორივე გვართან – ზოგადით და კერძოთი (მაგ. სარგის მხარგრძელ-თმოგველი, შალვა თორელ-ახალციხელი და სხვა) ან მხოლოდ კერძო, ანუ ახალი გვართან (მაგ. სარგის თმოგველი, შალვა ახალციხელი, თორღვა პანკელი და სხვები).

პირველი ლიტერატურული ძეგლი, სადაც მინიშნება არის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელზე, ესაა XVI საუკუნის დასაწყისში სადგერის ეკლესიის დეკანოზის სვიმონ შოთასძის (ანუ შოთაშვილის) მიერ ლექსად დაწერილი ანდერძი. ეს ანდერძი აღმოაჩინეს და გამოაქვეყნეს ილია აბულაძემ და ქრისტინე შარაშიძემ 1941 წელს.

გვარი შოთასძე (შოთაშვილი) რომ სახელ „შო-



არსებული შოთას პორტრეტის ადგილის დადგენა

ლეთით, 12 კილომეტრის დაშორებით.

მონასტრის სვეტზე გამოსახული რუსთაველის ფრესკის ურთიერთობის საკითხი. პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მან ალაპი XII-XIII საუკუნეთა მიჯნით დაათარილა, ხოლო ალაპთა ნიგნების ჩანაწერების ხასიათისა და ჯვრის მონასტრის განახლება-შეკეთების ისტორიის გათვალისწინებით, დაადგინა, რომ რუსთაველის ფრესკაც იმავე ეპოქაში უნდა ყოფილიყო დახატული და, რომ, სვეტზე გამოსახული „რუსთაველი“ და ალაპში მოხსენიებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი, ერთი და იგივე პირია (ვლ. მეტრეველი, „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“, 1962 წ.).

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ერთ ისტორიულ ბარელიფს, რომელიც დაცულია ორბელიანთა ძველ სამფლობელოში, მდინარე ალგეთის ხეობის სათავეებში, ერთ ძველ ნასოფლარში, რომლის სახელია აძიკუა. იგი მდებარეობს დაბა მანგლისის დასავ-

ნორე მინა თავნარული აძიკურსა ეკლესიასა სალოცავად სულისა ჩვენიას. ვინ შეუცვალოს, ანუ ლოცვისაგან კიდე რასაც ვნუკევედეს კრულ იყოს ღმრთისა დაუსაბამოსა პირითა ამინ.“

ეკლესიის დასავლეთ კედელში ჩასმულია ერთი მთლიანი ქვა. ეს ქვა წარმოადგენს ბარელიფს, რომელზეც გამოქანდაკებულია ოთხი მამაკაცი, ჩაცმული ძველ ქართულ საერისთავო ტანსაცმელში. ისინი დგანან, ყველას ერთნაირი წვერი აქვს (მეტად გრძელი) და ყველას ერთნაირად აქვს შეხრილი ხელები.

ბარელიფზე არსებული წარწერა აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, შესრულებულია XI-XIII საუკუნის ასომთავრულით და მისი ნაკითხვა ასეთია: „ქ.ე. ადიდ შოთაი და გამრკლ ბეშქენ და ვარაზ ბაკრ“. „ქრისტე შეიწყალე იქაპტ მონა მათსა მრთელობას, ან მართვილობას“...

პინგოროცვას აზრით, ბარელიფზე გამოსახული პირები, შოთას გარდა, ორბელიანია. აკად. ნ. ბერძენიშვილი არ ეთანხმება მას და თვლის, რომ შოთა, გამრეკელ და ვარაზბაკურ ორბელიანთაგან დამახასიათებელი სახელები მაინცდამაინც არაა. ისინი რომ დიდკაცები არიან, თითქოს უცილობელია. ესენი შეიძლება იყვნენ ფეოდალური სახლის შვილები, რომელთა მოწმობა, დამტკიცება, აუცილებელი იყო ოურიდული აქტისათვის (ტ. 1.272 გვ.).

ისტორიკოსი ნ. შოთაშვილი დეტალურად განიხილავს ამ წარწერას და აღნიშნავს, რომ აქ გამრეკელის თორელობა არავითარ ეჭვებს არ უნდა იწვევდეს. ეს სახელი XII-XIV სს-ში, თორელთა გარდა, სხვა დიდებულთა გვარში არ გვხვდება, რომ თორელთა საგვარეულოს შეიძლება მივაკუთვნოთ არა მარტო გამრეკელი, არამედ ვარაზბაკურიც. XI საუკუნის ქართული ისტორიული წყარო „მატიანე ქართლისა“ იხსენიებს ერისთავთ-ერისთავს, ვარაზბაკურ გამრეკელს, რომელსაც, ბაგრატ IV-ის ბრძანებით, 1065 წლის ახლოს, შეუპყრია სომეხი მეფე კვირიკე და მისი ძმა სუმბატის. ეს ვარაზბაკურ-გამრეკელი, დ. მუსხელიშვილის აზრით, თორელი უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ამ შემ-

# ისევ რუსთაველის

თადან“ მომდინარეობს, ამას, ალბათ, მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ უნდა გარკვეულიყო, რომელი შოთა იგულისხმებოდა ამ გვარის მამამთავრად. დეკანოზი სვიმონი თავმონონებით ლაპარაკობს თავის გვარზე. ამის ერთი მიზეზი ისაა, რომ შოთასძენი სადგერის ეკლესიაში არსებულ წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის მცველი და მხლებელი ყოფილან, ხოლო თვითონ მას ოქროთი და ვერცხლით მოუჭედია ეს სასწაულომქმედი ჯვარი. სვიმონ შოთას ძის საიამაის მეორე მიზეზი, მკვლევართა აზრით, ის უნდა იყოს, რომ ის თავს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შთამომავლად ან ნათესავად თვლის. უფრო გვიანდელი წყაროებიდან ვიცით, რომ რუსთაველს „შოთა“ ერქვა. როგორც ჩანს, ეს იცოდა დეკანოზმა სვიმონმაც. უფრო მეტიც, მას ისიც სცოდნია, რომ სახელოვანი პოეტი მისი შორეული წინაპარი იყო და ამით კანონიერად ამაცობდა.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორს „რუსთაველს“ უწოდებენ XVI-XVIII საუკუნის ქართველი მოღვაწეები: სერაფიმონ საბაშვილი (კედელაური). თეიმურაზ პირველი, ნოდარ ციციშვილი, იოსებ თბილელი (სააკაძე), არჩილი, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ტიმოთე გაბაშვილი, დავით გურამიშვილი და სხვანი. მაგალითად:

ა). თეიმურაზ I (XVII საუკუნის პირველი ნახევარი):

„ესენი შოთამ რუსთაველმან შეამკო არსთა მკობითა, თვით მინდობილმა სიბრძნისა, მერე თამარის ხმობითა“...

ბ). მამუკა მდივანი (1646 წელი):

„... შოთამ გალექსა ტარაის და ავთანდილის ქებანი, ნესტანჯვარს უქო ციმციმი, თინათინს მოვანებანი“;

გ). ნოდარ ფარსადანის-ძე (XVII საუკუნის ნახევარი):

„...შოთას აქებდნენ, ან რიგი მე მომხვდა მოლექსობისა, რუსთაველს არ დარჩა უთქმელი, რაც ოდენ მისწვდა გონება, მისთა ლექსებთა მკითხველსა, სხვა რამცა მოეწონება...“

დ). არჩილ მეფე (1681 წელი):

„...შოთას რათ ვერ ნაბაძესა“. XVIII საუკუნის მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს უწოდებს შოთას. ჯვრის მონასტრის აღწერაში ის აღნიშნავს: „გუმბათის ქვევით სვეტნი გაუახლებია და დაუხატია შოთას რუსთაველს, მეჭურჭლეთუხუცესს...“

XIX საუკუნეში რუსთაველოლოგიური კვლევის ერთ-ერთი შენაძენი იყო ჯვრის მონასტერში

და მისი ზუსტი აღწერილობის მოპოვება. ეს გააკეთა ცნობილმა მეცნიერ-ლექსიკოგრაფმა ნიკო ჩუბინაშვილმა. მან 1845 წელს, პალესტინაში მოგზაურობის დროს, გადმოხატა მონასტრის სვეტზე არსებული რუსთაველის სურათი და სიტყვიერათ აღწერა მისი ადგილმდებარეობა, შოთას გარეგნობა და ჩაცმულობა.

1883 წელს იერუსალიმში იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი. მან გადმოიღო ჯვრის მონასტრის სვეტზე რუსთაველის პორტრეტთან არსებული წარწერა. მანვე გამოაქვეყნა ნ. ჩუბინაშვილისეული აღწერილობა, საკუთარი დაკვირვების შედეგად და დაადგინა, რომ ჯვრის მონასტრის სვეტზე დახატული მოხუცი შოთა რუსთაველი ერის კაცია და არა ბერი.

1902 წელს ნიკო მარმა იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში ნახა ხელნაწერი კრებული წმინდანთა და სხვა საპატიო მიცვალებულთა მოსახსენებლებით (ალაპებით), სადაც ასეთი ჩანაწერი იყო:

„ამავე ორშაბათსა ალაპი შოთაის მეჭურჭლეთუხუცესისაი“. ვინ შეცვალაო შემცაცვანებულ არს სჯულისაგან ქრისტიაწიეთასა“. ეს კრებული ნ. მარის რედაქციით დაიბეჭდა 1914 წელს.

1960 წელს იერუსალიმში გაემგზავრა ექსპედიცია აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლის და პოეტ ირაკლი აბაშიძის შემადგენლობით. ქართველთა ყოფილი წმინდა სავანე, ჯვრის მონასტერი, მათ სავალალო მდგომარეობაში ნახეს. თითქმის ყველა ქართული ფრესკა და წარწერა საღებავით დაფარული დახვდათ. ქართველთა მოღვაწეობის კვალის წასაშლელად იქ, მონასტრის კედელზე, XIX საუკუნის ბოლომდე იყო სურათები ქართველი მეფეების: მირიანის, ვახტანგ გორგასლის, ბაგრატ მეოთხის, ლეონ დადიანის და ქართლის დედოფლის მარიამისა (XVII ს.), საეკლესიო მოღვაწეთა: პეტრე იბერის, პროხორე მავთელის, არსენ იყალთოელის, იოანე ჭიმჭიმელის, არსენ და იოანე ქართლის კათალიკოსების, აგრეთვე საერო პირების – შოთა რუსთაველის, გრიგოლ არსენავრის, პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეების სურათები.

ექსპედიციის წევრებმა თითქმის საიღუმლოდ, მონასტრის ხელისუფალთაგან დაფარულად, განმინდეს რუსთაველის სურათი... „გამოჩნდა დიდებული სახე ბრძენი მოხუცისა, ამაყი, მაგრამ ღრმად კაემნიანი ... თითქოს ნაცნობი სახე, საოცრად ნაცნობი სახე, მთელ სვეტზე აღმართული წმინდანების: იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფერხთა შორის დგას იგი, ხელაპყრობილი (ი. აბაშიძე „პალესტინის დღიური“. 1961 წ.).

აკად. ელენე მეტრეველმა საგანგებოდ განიხილა ჯვრის მონასტრის სენიქსარში ჩანერილი „შოთა მეჭურჭლეთუხუცესის“ ალაპისა და იმავე



ნასოფლარში მდებარეობს ძველი ეკლესია, საკმაოდ ვრცელი (სიგრძე 10 მეტრი, განი 6,7 მეტრი). ეკლესიის შუა თალის ქვაზე არსებული წარწერა ნაკითხული აქვს აკად. ექვთიმე თაყაიშვილს. „ქ.სახელითა ღმრთისათა მე ვარაზ-ბაკურ შევს-

თხვევაშიც, სახელი გამრეკელი უეჭველს ხდის ვარაზ-ბაკურ გამრეკელის თორელობას. ეს გარემონათ, რომ აძიკვის ბარელიფში მოხსენებული ვარაზ ბაკური



თორელთა საგვარეულოში მიღებული (თუმცა არც ისე ხშირად ხმარდებულ და არც ისე დაჩემებულ მხოლოდ ამ საგვარეულოს მიერ, როგორც გამრეკელი და კახა) სახელი ყოფილა.

ადიკვის წარწერაში მოხსენიებული ბეშქენი ყველაზე უფრო ჯაყელთა გვარში გავრცელებული სახელი იყო, მაგრამ ის სხვა გვარებშიც გვხვდება (ვარდანისძეებში, მხეცისძეებში, ჭოლასძეებში და სხვა). უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჯაყელებს და თორელებს აქვთ ორივე გვარში გავრცელებული რამდენიმე სახელი (შალვა, ივანე). ამდენად, შესაძლებელია ჯაყელთა საგვარეულო სახელი თორელებშიც ყოფილიყო შემოსული.

ამგვარად, ადიკვის წარწერაში მოხსენიებული ოთხი დიდებულიდან ერთის სახელი (გამრეკელი) მხოლოდ თორელებში გვხვდება, ერთი (ვარაზბაკური) გვხვდება თორელებში და სხვა გვარებშიც (საერთოდ, იშვიათად ხმარდებული სახელია), ერთი (ბეშქენი) გვხვდება ჯაყელებშიც (უფრო ხშირად) და სხვა გვარებშიც. ამიტომ, თუ კი ადიკვის წარწერაში მოხსენიებული პირები ერთ საგვარეულოს ეკუთვნის, ასეთ საგვარეულოდ მხოლოდ თორელები შეიძლება მივიჩნიოთ (რადგან ერთ-ერთი ამ ოთხიდან – გამრეკელი, მხოლოდ თორელია.)

წ.შოშიაშვილი ანალიზებს რა ბარელიეფის წარწერის პალეოგრაფიულ ნიშნებს, თვლის, რომ იგი XI-XII საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ისტორიკოსი პავლე ინგოროვე თავის „რუსთველიანაში“ აღნიშნავს, რომ თამარის ეპოქიდან მოღწეულია ერთი დოკუმენტი, რომელშიც დაცულია თვით შოთა რუსთაველის ხელმოწერა. ამ დოკუმენტის ძირითადი ტექსტი ეკუთვნის თამარის კარის მანდატურთუხუცესს ჭიაბერს (რომელიც 1190 – 1191 წლებში ამირსპასალარის თანამდებობასაც ასრულებდა). იგი შიომღვიმის მონასტრის თავის კუთვნილი სამფლობელოდან – ყინვალთან ნირავს ერთ მამულს.

„... ესე დაგიწერე და მოგახსენე მე მანდატურ-

ცა და, განსაკუთრებით, ზაქარია მხარგრძელიც, თამარის დროს, მალა მიწვედნენ ფეოდალური იერარქიის საფუძვრებზე. როგორც ჩანს, ჭიაბერმა და ზაქარიამ ყინვალისა და რუსთავის თემები არა მარტო თავიანთი სიცოცხლის მანძილზე, არამედ შთამომავლობისათვისაც შეინარჩუნეს. ასე, რომ, ჭიაბერის სიგელი და, აგრეთვე, შოთას მფლობელობა ყინვალში, ჭიაბერის სიგელის განმახლებლის – შოთა რუსთაველის დასამტკიცებლად სავსებით გამოუსადეგარია.

ჭიაბერი, მიუხედავად იმისა, რომ მანდატურთუხუცესი იყო და მის, როგორც ქვეყნის საშინაო საქმეთა გამგებლის მოვალეობას, საგარეო ომების დროს, ზურგის დაცვა შეადგენდა, ვიდრე ბრძოლის ველზე მოქმედებდა, აქტიურად მონაწილეობდა შამქორის ბრძოლაში და მისი გამარჯვებით დამთავრების მახარობელიც იყო. ჭიაბერი აქტიურად მონაწილეობდა ბასიანის ბრძოლაშიც, როგორც ჩანს, ეს იყო მისი უკანასკნელი სამსახური სამეფო სახლის წინაშე. ამის შემდეგ ჭიაბერი თამარის ისტორიკოსების თხზულებებში აღარ იხსენიება. იგი ბასიანის ბრძოლის ახლო დროს – 1205-06 წლებში უნდა იყოს გარდაცვლილი.

ჭიაბერის სიგელიდან დაკავშირებული საკითხები განიხილა ისტორიკოსმა წ.შოშიაშვილმა. იგი აღნიშნავს, რომ ჭიაბერის საბუთის ხელწამრთველი შოთა არ არის მისი შვილი. პირიქით, მისი აზრით, სწორედ ხელრთვიდან ჩანს, რომ შოთა არ იყო ჭიაბერის შვილი, რადგან

1. შოთა ერთი სიტყვითაც არ ახსენებს, რომ ის ამტკიცებს, თუ ახლებს, მისი მამის შეწირულობას. ხელრთვაში უბრალოდ აღნიშნულია:

„მე შოთაი ჩემს ყინოვინსა ქონებასაც შიგან ამას ვამტკიცებ, ვითა ამასა შიგან სწერია“. ჩვეულებრივ კი საბუთის განმახლებელი ან დამამტკიცებელი აღნიშნავდა ხოლმე თავის ნათესაურ დამოკიდებულებას საბუთის გამცემისადმი. მაგალითად: გრიგოლ სურამელს 1247-50 წლების შეწირულობას, დაწერილს შიომღვიმის მონასტრისადმი, ამტკიცებდა მისი ძმა ივანე და ძე ბეგა.

ასეთია ისტორიკოს წ. შოშიაშვილის მოსაზრება ამ საკითხზე.

მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი თვლის, რომ ჭიაბერი შოთას მამაა. მამის თუ დავადგენთ ჭიაბერის საგვარეულო კუთვნილებას, შეგვიძლია შოთას ბიოგრაფია მეტ-ნაკლებად დავადგინოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკითხიც საქართველოს ისტორიაში გაურკვეველია. პროფ. შ. მესხია თვლის, რომ ჭიაბერის საგვარეულო კუთვნილება ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული არ არის. ჭიაბერის შესახებ არსებული მასალები ამ მხრივ რაიმე საგულისხმო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას ვერ იძლევა, უსაბუთო მტკიცებას კი, ცხადია, მეცნიერული ღირებულება არ შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ სავსებით გარკვეულია, რომ: ა) ჭიაბერი ყუბასარისა და ანტონის მსგავსად, არის „გაზრდილი პატრონის“ (გიორგი III-ის); ბ) ჭიაბერი გიორგი III-მ მეფეინიბთუხუცესად სწორედ ორბელთა აჯანყების შემდეგ დაინიშნა; გ) ორბელთა აჯანყების შემდეგ სამოხელეო წყაროში ფართოდ გავსდა გზა წერილ მსახურთა აზნაურებს, მეფის ერთგულ პირებს. ჭიაბერიც უფრო ამ წრის, სამეფო ხელისუფლების დასაყრდენ მსახურულ აზნაურთა წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე დიდგვაროვანთა, ფეოდალური არისტოკრატის, „ჰერეთის მხარის დიდგვაროვან ლიდერებთან.“

1991 წლის 5 აპრილს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა პროფ. ზაზა ალექსიძის წერილი „ახალი ცნობა რუისთაველთა სახლის“ შესახებ.

პროფ. ზაზა ალექსიძემ და მიხეილ ქანთარია 1990 წელს სინას მთაზე შეინახულ წმინდა ეკატერინეს მონასტრის ახალი კოლექციის ქართული ხელთნაწერები, რომელიც შემთხვევით იქნა აღმოჩენილი 1975 წელს. ამ კოლექციის ერთ კრებულში, რომელიც, ზ. ალექსიძის ვარაუდით, X საუკუნის პირველ ნახევრის უნდა იყოს, მოხსენიებული „რუისთაველთა“ ფეოდალური საგვარეულო, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში,

წინ, ნუთუ არ შეიცვალეს გვარი, რომელსაც რეალური შინაარსი (რუსთაველის პატრონობა) უკავდა კარგული ჰქონდათ? VIII საუკუნიდან რუისთაველთა სახლში რუსთაველთა ცხოვრება სათუთაა. მისმა შთამომავლებმა, ალბათ, სხვაგან გააგრძელეს არსებობა, მაგრამ მათი კვალი გაუჩინარდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ნანგრევებში და ახლა, ბედნიერ შემთხვევებს უნდა ველოდეთ, რომ აღმოჩნდეს რაიმე ცნობა, რომელიც შეავსებდა ოთხ საუკუნოვან სიკვრივს VIII საუკუნის „რუისთაველთა სახლიდან“ XII საუკუნის დასასრულს მოღვაწე შოთა რუსთაველამდე.

გარდა ამისა, როგორც მართებულად აღნიშნავს გარაბული თავის ნაშრომში „შოთა რუსთაველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში“, ზ.ალექსიძის ჯერ უნდა განეხილა და მოეთხოვა უარყოფა შოთას მესხობის (თორელიობისა), რომელსაც დღეისათვის საკმაოდ არგუმენტირებული საფუძველი აქვს (წ.შოშიაშვილის, ს.ცაიშვილის, რ.ფირცხალაიშვილის გამოკვლევები).

XX საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შესახებ ხალხში ზეპირი გადმოცემები ჩაინერგეს სარგის კაკაბაძემ, სერგი მაკალათიამ, იოსებ მეგრელიძემ, მიხეილ ჩიქოვანმა, ნიკოლოზ ნათესაძემ და სხვებმა.

მასალების უმეტესობა ჩანერილია სამცხე-ჯავახეთში. ეს გადმოცემები მოუთითებენ შოთას მესხურ წარმოშობას.

უაღრესად საინტერესო და ნიშანდობლივია არჩილის ცნობა შოთა რუსთაველის სადაურობის შესახებ („გაბაასება თეიმურაზისა და შოთა რუსთაველისა“). პასუხი მეფისა მეთორმეტე.

„ლაზოდა სთქვი, შემოილე ჯავახური ენა მიძიმე, ქიზიყურად პასუხს მოგცემ ამიხვიდე შენ შეწინი მე.“

და „სიტყვისა თქმასა, რადგან ცული

# სადაურობის უსუსუს

თუხუცესმა და ამირსპასალარმა ჭიაბერმა, პირველად შენ სასოსა და შესავედრებელსა წმინდასა მამასა შოთს, და შენ მიერ აღშენებულსა უდაბნოსა მღვიმესა... ჩემსა ყინოვინსა ქონებასა შენა გჰკადრე და მოგახსენე ღმრთისა სწორსა მეფეთა მეფესა თამარსა, და მათ მიერ ბრძანებითა და კითხვითა გკადრე და მოგახსენე შენ წმინდასა მამასა შოთს და შენთა ცრემლთა მიერ აღშენებულსა უდაბნოსა მღვიმესა და მუნ შინა დამკუიდრებულთა მამათა და ძმათა ყინოვინთ (ყინვანით) მიხითარაიძენი დავითის შვილნი ... მათითა სახლითა და მამულთა ნასყიდითა და უსყიდითა ...“ და ა.შ.

სიგელს ამტკიცებს თამარ მეფე, ქართლის კათალიკოსი თეოდორე, თვით მანდატურთუხუცესი ჭიაბერი. გარკვეული დროის შემდეგ საჭირო იყო სიგელის განახლება (ე.ი. ხელახალი დადასტურება-დამტკიცება).

ამავე სიგელზე, მეთორმეტე საუკუნის დამლევის, ან მეცამეტე საუკუნის დასაწყისის ხელით წარწერილია ასეთი ტექსტი:

„მე შოთაი, ჩემ ყინოვინს ქონებასაც შიგან ამას ვამტკიცებ, ვითა ამას შიგან წერია“.

აკად. პ.ინგოროვე აღნიშნავს, რომ ეს შოთა არის ჭიაბერის შემდეგი დროის მფლობელი, რომელსაც, თანახმად არსებული წესისა, განუახლებია წინანდელი მფლობელის სიგელი. იგი არის ჰერეთის ერისთავი შოთა გრიგოლისძე და იყო რუსთაველად (ე.ი. რუსთავის სამფლობელოს მფლობელად) 1196 წლიდან 1206 წლამდე.

ისტორიკოსი ს.კაკაბაძე „ვეფხისტყაოსნის“ 1927 წლის გამოცემის შესავალ ნაწილში ჭიაბერს მიიჩნევს თორელად, ხოლო ჭიაბერის საბუთის ხელწამრთველ შოთას რუსთაველად და ჭიაბერის შვილად. შემდეგ ს.კაკაბაძემ შეიცვალა აზრი. შოთა რუსთაველის დაკავშირების შესახებ ანალოგიური აზრი გამოთქვა პროფ. ს.ცაიშვილმა ჭიაბერის საბუთის ხელწამრთველი შოთა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად მიაჩნდათ აგრეთვე ისტორიკოსებს თ.ფორდანას და ჯ.ჯანაშიას. პროფ. შ.მესხია არ ეთანხმება პ. ინგოროვესა მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ თამარ მეფემ ყინვალის ჭიაბერს უბოძა, ხოლო რუსთავი, იმავე დროს, ზაქარია მხარგრძელს (იხ. „ისტორიანი“, გვ.95). არსადაც ჩანს, რომ 1196 წლიდან „რუსთავის სამფლობელო“ – რუსთავის და ყინვალის თემები, ჰერეთის ერისთავთა სახლს გადასცემოდა, პირიქით, თამარის ისტორიკოსის მოწმობით, 1196 წლიდან ყინვალს ჭიაბერი მართავდა, რუსთავს კი ზაქარია მხარგრძელი. არც ერთსა და არც მეორეს, თავიანთი სიცოცხლის მანძილზე, არაფერი დაუშავებია სახელმწიფოს წინაშე, რომ მათთვის ეს სამფლობელოები წაერთმიათ და 1196 წელს ჰერეთის ერისთავებისთვის გადაეცათ, პირიქით, ჭიაბერი



ბეგას ხელრთვაში აღნიშნულია:

„ესე ვითა პატრონსა ღმერთმემოსილსა მამასა ჩემსა უბრძანებია და დაუწერია და შეუწირავს მეცა, მათსა მინასა და ძესა ბეგასა ქართლის ერისთავსა განაღამცა დამიმტკიცებია“. ივანეს ხელრთვაში აღნიშნულია:

„ამას ჩემისა ძმისა და ღმერთმემოსილის გრიგოლ ქართლისა ერისთავისა დაწერილის მე ივანე მეუბრეთუხუცესსა განაღამცა დამიმტკიცებია“.

ბეგას აბულებით-ძის 1258-1259 წ. დაწერილს ამტკიცებენ ჯერ ძაგანის შვილი, შემდეგ მისი შვილი-მეფე და ორივე აღნიშნავს თავის ნათესაურ კავშირს ძაგანთან:

„პატრონისა და ღმერთმემოსილისა მამისა ჩემისა ბრძანებითა მე, მათი ძე ივანეცა დამამტკიცებე ვარ.“

„ესე ვით პატრონს პაპასა ჩემსა შეუწირავს და გაუწერია და პატრონსა მამას ჩემსა მათითა ხელითა დაუმტკიცებია. მე მიწა მათი შვილი ყარაბულა ჩემითა ხელით დამამტკიცებელი და გამთავებელი ვარ.“

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, ამიტომ, როგორც აღვნიშნეთ, შოთა რომ ჭიაბერის შვილი ყოფილიყო, საეჭვოა მას ეს არ აღნიშნა თავის ხელრთვაში.“

კერძოდ კუხეთში არსებობდა. ზ. ალექსიძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი ამ საგვარეულოს წევრია. გვარი „რუსთაველი“ ან „რუსთველი“ მომდინარეობს „რუისთაველი-საგან“ და მისი შეკუმშული ფორმაა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, სად და როდის არსებობდა „რუისთაველთა“ სახლი? აღმოჩენილი კრებულის მიხედვით „რუისთაველთა სახლი მენკვენელთა სახლთან“ ერთად ისტორიული კუთხის ტერიტორიაზე მოქმედებს. „მენკვენელთა გვარი პირველად იხსენიება VII საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში ჰერაკლე კეისრის შემოჭრის დროს. VIII საუკუნეში რუისთაველნი და მენკვენელნი ერთად მოქმედებენ და ორივეს ამ საგვარეულოს გარკვეული წილი და გავლენა აქვს VII-VIII საუკუნეებში კახეთ-კუხეთში მიმდინარე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ რა მოხდა შემდეგ. თუ არის რაიმე ნიშანი მამის არსებობის IX-XI საუკუნეებში?

VIII საუკუნის 30-იან წლებში წარმოიქმნა თბილისის საამირო და რუსთავიც მის შემადგენლობაში მოექცა. IX-XI საუკუნეებში რუსთავი თბილისის საამიროში შედიოდა.

საკითხავია, როგორ გადაურჩნენ „რუისთაველნი“ ისტორიულ ქარტყილებს და თუ გადაურ-

სიტყვა ნაგვედა ნეტარძი მე „უყურე ბრიყვსა მესხსა და ამაცსა შეუპოვარსა რალას გელაყობ ჯავახსა ღარიბსა შეუპოვარსა“.

როგორც ვხედავთ, არჩილს სცოდნია, რომ შოთა რუსთაველი ჯავახი მესხი იყო. ამიტომ უწოდებს მას მესხსაც და ჯავახსაც. ხოლო მის ენას – ჯავახურს.

1947 წელს აკად. ნ.ბერძენიშვილმა გამოავლინა და 1964 წელს გამოაქვეყნა კიდევ ბორჯომის რაიონში მდებარე ქვაბისხევის ეკლესიის კედელზე მოთავსებული ფრესკა დიდებულიების საწოლში გამოწყობილი ყმანვილისა და ქალისა (ალბათ დედა-შვილისა), რომლის წარწერაც გვამცნობს, რომ აქ გამოსახულია „შოთა“ და „იაი“.

ქვაბისხევი მდებარეობს თორის და სამცხის საზღვარზე და XII-XIII საუკუნეებში თორელთა მამული იყო.

1966 წელს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით ისტორიკოსმა ნოდარ შოშიაშვილმა გამოაქვეყნა სტატია „თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი“. სტატიაში – „შოთა რუსთაველი“, ავტორმა დეტალურად გააანალიზა თორელთა გენეალოგია, მათი წარმომავლობა, სახლის განშტოებები, სამამულო და სახელო ქვეყნები და მისი საზღვრები. მან მკაფიოდ აჩვენა, რომ აკად. პავლე ინგოროვეს „რუსთაველიანაში“ ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი არ შეიძლება ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. წარმოადგინა რა თამარ მეფის, ლაშა-გიორგის, რუსუდანის და ულუ-დავითის მეფობის წლებში (1184-1270 წწ) მეჭურჭლეთუხუცესების სია, აღნიშნა, რომ ცხრა მიზეზიდან ორი, გამოანალიზის გარდა, ყველა სამცხე-ჯავახეთის დიდგვაროვან ფეოდალთა – თორელთა და ჯაყელთა საგვარეულოს ეკუთვნის. მისი ანალიზით, თორელთა საგვარეულოში მდებარეობდა მესხეთის რუსთავიც.

მან საზგასმით აღნიშნა, რომ მეჭურჭლეთუხუცესობისა და რუსთავის მფლობელობის ორიენტრმა შოთა რუსთაველის ვინაობის ძიებაში მიიყვანა თორელთა ფეოდალურ სახლთან, რომელიც, განსახილველ ეპოქაში, ერთდროულად ფლობდა რუსთავსაც და მეჭურჭლეთუხუცესობასაც.

სტატიაში გამოყენებულია ცნობილი ისტორიკოსების აკად. ნ.ბერძენიშვილის, შ.მესხიას, პ.ინგოროვეს, გ.არაბულის, წ.შოშიაშვილის, ს.ცაიშვილის, რ. ფირცხალაიშვილის, ს.კაკაბაძის, მ.ჯანაშვილის და სხვათა გამოკვლევები და შეხედულებები.





გამოვიდა ფოტო-ალბომი – „ერევნის (ირევანი) ისტორიული ცენტრი“ (რუს.ენაზე). ავტორი ფუად ახუნდოვი, შემდგენელი – რიზვან ჰუსეინოვი, კონსულტანტი – ელბრუს მამედოვი, – საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის დავით ლორთქიფანიძისა და ამავე მუზეუმის მთავარი კურატორის ელდარ ნადირაძის თანადგომით. ფოტო-ალბომში გამოყენებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდში დაცული ცნობილი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის (1844-1916) მიერ გადაღებული ერევნის ისტორიული ძეგლების ფოტო-სურათები. კიდრე ალბომის შინაარსს განვიხი-

დემოგრაფიული სურათი ამ წლებში ასე გამოიყურება: „მუსლიმები (ძირითადად აზერბაიჯანელები) 1828 წლამდე ერევნის ოლქში დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ. საკუთრივ ქალაქ ერევანში 1832 წელს 11.463 კაცი ცხოვრობდა, მათ შორის – 7.331 მუსლიმი და 4.132 სომეხი. ე.ი 36,0 პროცენტი იყო სომეხი, თუ გადმოსახლებულ სომეხებს არ მივიღებთ მხედველობაში. მაშინ სომეხები ქალაქის მოსახლეობის 24,4 პროცენტს, ხოლო მუსულმანები 75,6 პროცენტს შეადგენდნენ (ანზ. თოთაძე – „დიდი სომხეთის“ დიდი შემოქმედნი“ თბ. 2015, გვ.18).

და დაინყეს გააფთრებული ყვირილი – მოლაღატე, ოულა, მოსყიდულიაო და ჩასაქოლად მიიწვიდნენ. რექტორატმა სასწრაფოდ გამოიძახა მილიცია. მილიციამ გააკეთა „კორიდორი“ და ასე გაიყვანეს დარბაზიდან პროფ. სუნი. იმ დღეებში მთელი ერევანი პროფ. სუნს ლანძღავდა.

თუ არ ვცდები, ეს ინციდენტი პროფ. სუნმა გამოაქვეყნა კიდევ.

მოგონების ეს ფრაგმენტი იმიტომ მოვიტანე, ერევანი მუსულმანური ქალაქი რომ იყო და ამ ისტორიულ ფაქტს ვერ ვგუებოან დღემდე სომეხები.

აქედან გამომდინარე, რაზან ერევანი ასეული წლების მანძილზე მუსულმანური (აზერბაიჯანულ-თურქული) ქალაქი იყო, ბუნებრივია, აქ იქნებოდა მუსლიმურ-კულტურული და რელიგიური ისტორიული ნაგებობანი, ერევნის ციხესიმაგრე, ხანის სახანო, მეჩეთები, აბანოები და სხვ. ერევნის სახანოს რუსეთთან შეერთებისთანავე, დაწყებული ამ ისტორიული ძეგლების განადგურება. შემდეგ მას თანდათან ფართო მასშტაბური ხასიათი მიიღო. ამას ეწოდებოდა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოებასა და ერევნის გუბერნიის მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკებს შორის მიმონერა. ამ საარქივო მასალის მიხედვით მტკიცდება, რომ არქეოლოგიურ კოისიას დაუდგენია ხანის სასახლის აღდგენა. აკად. ნ. მარისთვის დაუვალებათ, ადგილზე შეიმონებინა ხანის სასახლის მდგომარეობა.

როგორც ალბომში გამოქვეყნებუ-

ერის ფოტო-სურათები, აგრეთვე ცნობილი რუსი მხატვრების გ.გაგარინის, ფრ. რუბოს და სხვათა მიერ შესრულებული ძველი ერევნის მუსლიმური (აზერბაიჯანულ-თურქული) ისტორიული ძეგლების სურათები.

აქვე შევნიშნავთ: ერევანში იყო ქართველი მეფის ლაშა-გიორგის (1192-1223) დროინდელი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, თუმცა არაერთგზის ძიების მიუხედავად, მის კვალსაც ვერ მივაკვლიეთ....

საბჭოთა პერიოდში ძველი ერევნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უარყოფა კიდევ უფრო მეტი აგრესიით გაგრძელდა და მასშტაბური ხასიათი მიიღო. ამას მოწმობს ალბომში გამოქვეყნებული დოკუმენტური ფოტო-მასალა. ამ დროს ჯერ კიდევ შემორჩენილი მუსლიმური (აზერბაიჯანულ-თურქული) ისტორიული ძეგლები ამ დროისათვის საბოლოოდ გაუნადგურებიათ, გარდა თითო-ორიოლისა. მთავარ არქიტექტორს ა. თამანიანს ერევნის გენერალური გეგმა-პროექტი ისე შეუდგენია, რომ ძველი ერევნის ისტორიულ-კულტურული ცენტრის შენარჩუნება გამორიცხული ყოფილა. ის ამას ვერ გააკეთებდა, სომხეთის მთავრობის ნებართვის გარეშე. ამგვარად, მიწისაგან პირისა ადგილი ერევნის ციხესიმაგრე, ხანის სასახლის ნარჩენები, მეჩეთი (8) აღმოსავლური აბანო და შუა საუკუნეების სხვა მუსლიმური ისტორიული ძეგლები. ამ სამარცხვინო ფაქტს ვერ მალავს სომხეთის

ხიენოვანი გეოგრაფიული დასახელება, რომელიც უნდა შეცვალოს სომხურით“ (ალბომი, გვ. 52).

ეს უცხოენოვანი დასახელება კი, უმეტესწილად, აზერბაიჯანულ-თურქულია.

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია – სომხეთში მუსლიმური (აზერბაიჯანულ-თურქული) გეოგრაფიული სახელწოდების და ტოპონიმების ნაშლა და სომხურით შეცვლა სომხეთის მთავრობის სახელმწიფო პოლიტიკა ყოფილა.

თურქებსა და სომხებს შორის ისტორიული მტრობა ცნობილია, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არ უნდა გამხდარიყო საფუძველი ტოპონიმების, მუსლიმური (აზერბაიჯანულ-თურქული) შუა საუკუნეების ისტორიულ-კულტურული ძეგლების მოსპობისა.

თბილისში არაბები, სპარსელები, თურქები, საუკუნეების მანძილზე ბატონობდნენ. რა თქმა უნდა, მათი ბატონობა ქართველ ხალხს გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ მათ მიერ ამენებულნი მეჩეთები და საეკლესიო ნაგებობანი, დღესაც დგანან. მათი ბატონობის დროს შექმნილი ტოპონიმები: ნარი-ყალას, სეიდაბადის, ორთაჭალის და სხვათა ნაშლა და ქართული შეცვლა საქართველოს არცერთ მთავრობას არ მოსვლია ფიქრად. ძველ ეპოქაში, ერთ-მანეთის გვერდით, დღესაც დგას ქართული მართლმადიდებლური ტაძარი, კათოლიკური და სომხური ეკლესიები, მეჩეთი და ებრაული სინაგოგა. ისინი თბილისის ისტორიის ორგანული ნაწი-



1912 წ. ერევანი. მეჩეთი, ნაგებობის ნაშთი. 64

# ერევნის (ირევანი) ისტორიული ცენტრი

ლავედთ, ვფიქრობთ, უპირანი იქნება, მოკლედ გავაცნოთ ერევნის სახანოს ძეგლების ისტორიას. დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე შუასაუკუნეებში დამკვიდრდა სეფევიდების დინასტია. სეფევიდმა შაჰ-ისმაილმა 1504 წელს მის სარდალს რევანგულ-ოღლის დაავალა ამ ტერიტორიაზე აქმენებინა ციხესიმაგრე, რომლის მშენებლობა დამთავრდა 1511 წელს.

აქ შეიძლება მოეუხმოდ აკად. ვ.ბოტოლდას, რომელიც ერევნის შესახებ წერდა: „სოფელი ერევანი შეიქმნა თემურ-ლენგის დროს (XIV ს-ის დასასრულს), ხოლო ქალაქად გადაიქცა XVI ს-ში შაჰ-ისმაილის ზეობაში“ (თბზ.ტ. VII, მოსკოვი, 1971, გვ. 212-213, რუს. ენაზე).

ერევნის სახანო კი დააარსა შაჰ-აბასმა 1604 წელს. მთელი ძალაუფლება შაჰის მიერ დანიშნული სარდალის ხელში იყო მოქცეული. იგი ითვლებოდა მეფის ნაცვლად და ბეგლარბეგი ეწოდებოდა. ერევნის სახანო დაყოფილი იყო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად და მას მაჰალეები ეწოდებოდა. XIX-სი დასაწყისისთვის მათი რაოდენობა 15-ს აღწევდა. მაჰალეების მმართველებს ნაიბები ან ბეგები ეწოდებოდა. არც თუ იშვიათად, ნაიბები გამაჰმადიანებული სომხები და ქართველები იყვნენ. ქართველები თვით ერევნის ხანებიც იყვნენ. მაგ. ერევნის ხანი იყო კონსტანტინე კახთა მეფე (მაჰ-მად-ყული-ხანი).

ნადირ-შაჰის მოკვლის (1747) შემდეგ ირანი ანარქიამ მოიცვა და ზოგიერთმა სახანომ, მათ შორის ერევნის სახანომ, ნახევრად დამოუკიდებლობა მოიპოვა.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში მეფე ერეკლე II-ის ვასალი გახდა ერევნის სახანო. ერევნის სახანოს ცენტრი იყო ქალაქი ერევანი, რომლის ციხესიმაგრე აიღო გენერალმა პასკევიჩმა (1827). თურქმანიჩის ზავით (1828) ერევნის სახანო რუსეთს შეუერთდა და ეწოდა ერევნის ოლქი, რომლის მმართველი ერთხანს ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტი, გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო. ერევნის მცხოვრებთა

ნაცემები მოწმობს, რომ რუსეთთან შეერთების ოთხი წლის შემდეგ, ერევანი ისევ მუსლიმთა ქალაქია. ამ ისტორიული ფაქტის გაგონებაც არ უნდათ სომეხებს.

ამასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მახსენდება. გასული საუკუნის 70-იანი წლები იქნებოდა. სამეცნიერო მივლინებით ვიყავი ერევანში. სომხეთის სახელმწიფო არქივში დაცულ პროფ. ალ. ხახანაშვილის არქივის შესახებ ვაპირებ, რომ ერევნის უნივერსიტეტში ტარდებოდა ისტორიის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენცია. რა თქმა უნდა, წავიდა უნივერსიტეტში. შევედი დარბაზში თუ არა, კათედრაზე ავიდა ამერიკელი სომეხი პროფესორი სუნი, რომელმაც მოხსენება ერევნის ისტორიით დაიწყო და სთქვა: – ერევანი მუსულმანთა ქალაქი იყო XIX-ის 20-იან წლებში. ე.ი გენერალ პასკევიჩის მიერ ერევნის ციხესიმაგრის აღებად (1827). წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი, ნამოიჭრა

ლი საარქივო მასალებიდან ირკვევა, 1909 წელს ხანის სასახლის კაპიტალური რემონტისთვის გამოყოფილი ყოფილა 1200 მანეთი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიის კომისიის სტდიამზე, საანგარიშო მოხსენებით გამოსულა აკად. ნ. მარი. მას კომისიისთვის მოუხსენებია თუ რა საგალალო მდგომარეობაში იყო ხანის სასახლე და ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ სახეზეა ადამიანთა მიერ ხანის სასახლის მიზანმიმართული ნგრევა და განადგურება. შემდეგ ჩამოთვლის: განადგურებული ყოფილა ერევნის მმართველთა პორტრეტები და აღმოსავლური ეპოსის გმირთა უნიკალური სურათები. შეგნებულად ყოფილა დამტყვევული სახელგანთქმული სარკვევები დარბაზი, სადაც 1827 წელს პირველად დაიდგა ალ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ და რომ სუეტკალს ავტორი ესწრებოდა. ამ დარბაზის ორი გვერდითი ოთახი გადაქცეული ყოფილა ტულალებად, ფეშტელებად ორი სურათი – გოლიათი და გმირი მოუპარავთ და ა. შ.

აკად. ნ. მარი გულისტკივლით აღწერს საზაფხულო პავილიონის კედლებზე დახატულ მოლა ნასრედინის იუმორისტული სურათის განადგურებას. ეს იშვიათი სურათები ქალაქ ერევნის საკრებულოს გადაწყვეტილებით 1892 წელს გაუნადგურებიათ.

ფოტო-ალბომში კიდევ არა ერთი ფაქტია მოტანილი ქალაქ ერევანში მუსლიმური (აზერბაიჯანული თურქების) კულტურული ძეგლების განადგურებისა.

აქვე აღვნიშნავ, რომ სომხური მხარე ხანის სასახლის განადგურებას რუსებს აბრალებს, თითქოს, 1827 წელს, ერევნის ციხესიმაგრის აღების დროს, დაზიანდა. შეიძლება, გარკვეულწილად, მართლაც დაზიანდა, მაგრამ არ განადგურებულა. ამას მოწმობს დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ხანის სასახლის შიდა და გარე ინტერი-



16512. Эривань. Гей-мечеть. Часть двора, окно главного входа. 529.

მეგობარი რუსი არქიტექტორი ა. ივანოვიც: „... დასკვნა ერთია: სომხეთის ხელისუფლება არასდროს ყოფილა დაინტერესებული ერევნის ცენტრის შენარჩუნებით.. ძველი ერევანი მისი კლასიკური გაგებით, დღეს უკვე აღარ არსებობს“ (გაზ. „გოლოს არმენი“, 2012, 19. XI, 2013, 26. IX).

საერთოდ, ცნობილია რომ გეოგრაფიული სახელწოდებების, ტოპონიმების, პიდრონიმების და სხვ. შეცვლა ახალი სახელწოდებებით, მიუღებელია. სამწუხაროდ, სომხეთის მთავრობას ეს არად ჩაუგდია და აზერბაიჯანული (თურქული) გეოგრაფიული სახელწოდებანი სომხეთის ტერიტორიაზე და ერევანში ხელოვნურად შეუცვლია ახალი შეკონინებული სომხური სახელწოდებებით (ალბომი, გვ. 51-52).

სომეხი ავტორი ზ. კორკოტიანი ნიგნში „საბჭოთა სომხეთის მოსახლეობა“ (1932) აღნიშნავს – XIX-XX ს.ს-ში 2310 დასახლებული პუნქტიდან 2000 თურქული სახელწოდების არისო (გვ.57).

ამ პროცესს განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დროს. სომხეთის მთავრობის სახელმწიფო კომიტეტის უძრავი ქონების კადასტრის ხელმძღვანელს მანუკ ვარდანიანს ღიად განუცხადებია, რომ აზერბაიჯანელებით ყოფილა დასახლებული ამ პუნქტების დიდი ნაწილი

სომხეთის პირველი ნაციონალური ატლასის შესავალში ვარდანიანი პირდაპირ წერს: ატლასში აღრიცხულია 40 ათასი გეოგრაფიული დასახლება. მათგან დაახლოებით 8-10 ათასი უც-

ლები არიან და განიხილებიან ქალაქის კულტურულ ისტორიულ მემკვიდრეობად.

ამრიგად, თბილისს აქვს ისტორიული ცენტრი, რითაც ამაყობს ქართველი ხალხი.

ასეთი ძველი ცენტრი აქვს რიგას, ვილნუსს, ტალინს, ბაქოს და ყველა ქვეყნის დედაქალაქს, გარდა ერევნისა.

ისტორიკოსმა ს.კარაპეტიაძემ, რომელიც გამოირჩევა ანტიქართული მოღვაწეობით, ქართველებს ცივილიზაციის დამანგრეველი ერი უწოდა, ე.ი ქართველები ბარბაროსებად გამოიყვანა, მსოფლიოს ხალხთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ტოლერანტული ქართველი ხალხი (იხ. ს. კარაპეტიაძე „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და სომხეთის კულტურული ძეგლები 1988-1996 წ.წ.“ 1998, ერევანი, გვ.7, სომხ. ენაზე).

შუა საუკუნეების აღმოსავლური ისტორიულ-კულტურული ძეგლების მასობრივ მოსპობა-განადგურებას ერევანში, რა შეიძლება ეწოდოს, თუ არა ვანდალიზმი?!

ეს ფოტო-ალბომი არის დოკუმენტი იმისა, თუ როგორ არ უნდა განადგურო საკუთარ ქვეყანასა და დედაქალაქში უცხო ქვეყნის კულტურულ-ისტორიული ძეგლები და არ უნდა შეცვალო უცხო ტოპონიმი ახლით.

ეს არის ისტორიის ხელყოფა, რაც დაუშვებელი და მეცნიერულად გაუმართლებელია.

ბონდო არველაძე, პროფესორი, არმენოლოგი



№ 5786. Эривань. Вход в мечеть со стороны базара. 77.

კულტურა

ნათელი სახეები

### ანსამბლი „ოქტავა“ მოწონების სიმაღლეზეა

ზ.ფალიაშვილის სახელობის ბორჯომის სამუსიკო სკოლასთან არსებულ ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი სულ რაღაც 6 წელს ითვლის, მაგრამ, თავისი სამუსიკო ხელოვნებით, რეპერტუარის მრავალფეროვნებით, მოკლე დროში, მსმენელთა და მასშტაბულთა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ისინი, თავიდან, ღუემის სახით იყო წარმოდგენილი, შემდეგ ორი წერილი დაიბეჭდა, ბოლოს კი 7 კაცამდე გაიზარდა.

ანსამბლის დღევანდელი წევრები – მალხაზ კურჩანიძე, ნათია ხვედელიანი, მარინა რატიანი, ცირა პავლიაშვილი, თამუნა ბერიძე, გოგი ხუციშვილი, მარინა ქიტიაშვილი თანაბარი სიძლიერით ფლობენ ვოკალს და მუსიკალურ ინსტრუმენტებს. მათ შემოქმედებაში იგრძნობა ისტორიული რიტმი, ენერჯია,

შინაგანი სიფაქიზე, სინათლეზე. ამიტომაცაა, რომ მათ მიერ შესრულებულ ქართულ ხალხურ, საესტრადო, რუსულ და ინგლისურენოვან სიმღერებს მსმენელები ოვაციებით ხვდებიან.

ზაფხულის სეზონის მიწურულს ანსამბლმა კიდევ ერთი ლამაზი და მომავალდგებილი საღამო აჩუქა უამრავ ბორჯომელს და ჩამოსულ დამსვენებლებს. ისტორიული მიწარაღების წყლების პარკში მდებარე კინო-საკონცერტო დარბაზი სასვე იყო ანსამბლ „ოქტავას“ გულმემატკვრებით. ანსამბლის წევრებმა დიდი მონდომებით და პროფესიონალიზმით შეასრულეს როგორც თანამედროვე ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების სიმღერები, ისე გასული საუკუნის 60-იანი წლების პიტივი, სიმღერები ჯონ ლენონის შემოქმედებიდან.

### ბაკურიანისა და ბაკურიანელთა სიყვარულით

ცნობილი ქართველი მთარგმნელი თამარ კოტირაძე ბაკურიანელთა სასურველი სტუმარიცაა და ახლობელიც. იგი ყოველ წელს ანებივრებს სათმო კურორტის მოსახლეობას და დამსვენებლებს თავისი შემოქმედების პროდუქციული ნაღვანის დემონსტრირებით.

ცოტა ხნის წინ ბაკურიანის საინფორმაციო ცენტრის საკონფერენციო დარბაზში ბიბლიოთეკის გამგის დარეჯან ბარათელის ძალისხმევით შეტად საინტერესო ლიტერატურული საღამო ჩატარდა.

აღნიშნული საღამოს ცენტრალური ფიგურა კი ბაკურიანელთათვის მეტად საპატივცემულო ქალბატონი, მთარგმნელი თამარ კოტირაძე გახლდათ. ცნობისათვის: ქალბატონი თამარი ლიტერატურულ საქმიანობაში დიდი ხანია აქტიურად არის ჩართული. მისი პირველი თარგმანები ამ ოციოდე წლის წინ გამოიცა, რომელიც ძირითადად თარგმნის პროზას და ესეისტიკას გერმანული, ინგლისური, რუსული და ფრანგული ენებიდან.

თარგმნელი აქვს დ.პ. ლოურენსის, რეი ბრედბერის, ქრისტინე ლავანტის, ბეტინა ბრენტანოს, ევოდოლაზიკინის და სხვათა პროზაული ნაწარმოებები. მის მიერ გამოცემული წიგნი – „ქრისტინე ლავანტი. ლექსები და მოთხრობები“ (2002 წ. კავკასიური სახლი)

ავსტრიის კულტურის სამინისტროს მიერ 2003 წელს დაჯილდოვდა მთარგმნლობითი პრემიით; 2007 წელს მიიღო ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ყოველწლიური პრემია თარგმანის ნომინაციაში; 2010 წელს – საგურამოს პრემია, ასევე თარგმნის ნომინაციაში.

ქალბატონი თამარი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, წიგნის ფესტივალებსა და მთარგმნელთა კონკურსებში.

ლიტერატურული საღამო ორმხრივ საინტერესო ღონისძიება გამოდგა. საპატიო სტუმარმა ბაკურიანის ბიბლიოთეკას საკუთარი თარგმანებით გამოხატული წიგნების მდიდარი კოლექცია გადასცა.

ნაყოფიერი იყო მთარგმნელის და საღამოზე მოსული საზოგადოების ურთიერთობა, აზრთა გაცვლა.

ქალბატონი თამარი სტუმრებს ესაუბრა თავისი თარგმანების შესახებ, იმ ადამიანებსა და აღმოჩენებზე, რომლებსაც თარგმნისას წააწყდა. ასევე ისაუბრა წიგნის როლზე, კერძოდ, ახალგაზრდების საყვარელ ავტორებზე და ა.შ.

საინტერესო საღამო დიდხანს გაგრძელდა, რომელიც წიგნების სიყვარულით იყო გაჯერებული.

### ცნობილ ჟურნალისტსა და პოეტს მიეძვნა

1 სექტემბერი ცნობილი ჟურნალისტისა და პოეტის, ბორჯომის საპატიო მოქალაქის, ბატონ რობერტ ცუცქერიძის დაბადების დღეა. წელს მას 82 წელი შეუსრულდებოდა, თუმცა ამ 6 წლის წინ (სექტემბერში), თბილისში, ქაშუეთის ეკლესიასთან, გულმა უმტყუნა და უღრმოდ დაემევიძობა ოჯახს, დიდ სამეგობროს, ერთგულ მკითხველს.

ყოველ მის დაბადების დღეს გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია სისტემატურად აქვეყნებს მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილებს.

ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა და კოლეგისა და მეგობრის ხსოვნას სპეციალური საგაზეთო გვერდი დაუთმო.

ბატონი რობერტი ჟურნალისტურ საქმიანობას ახალგაზრდული წლებიდან ეზიარა, აქტიურად თანამშრომლობდა რაიონულ გაზეთში, შემდეგ ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა, რომლის დამთავრების შემდეგ ამავე ქალაქის ტელევიზიაში დაიწყო მუშაობა ჟურნალისტად.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ბატონი რობერტი მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა და ადგილობრივ გაზეთში პასუხისმგებელ მდივნად დაიწყო მუშაობა, შემდეგ „საქინფორმის“ კორესპონდენტი გახდა. მისი წერილები, რეპორტაჟები, ინტერვიუები, ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა მრავალრიცხოვან მკითხველში.

ბატონი რობერტი, ამასთანავე, შესანიშნავი ლექსების ავტორიცაა. ხანდახმულ ბორჯომელებს დღესაც სისხლბოროცულად აქვთ გაათავისებული მისი

ლექსების ცალკეული სტროფები.

აქვე გთავაზობთ მისი ლექსებიდან რამდენიმე ამონარიდს და მკითხველი თვალნათლივ მიხედება, თუ როგორი სიძლიერის პოეტთან გვაქვს საქმე:

„ჩემ ჩემი მღვრიე მტკვარი მიყვარს და ჩემი ბორჯომის მწვანე ქუჩები, ჩემი ხეობის სუნთქვას ვიცავ და მის სიყვარულში დავინუფრები“.

(*ჩემო ბორჯომო!*)

„სამშობლოს მიღმა, გარეთ და გარდა სხვა სილამაზე ვერსად ვინამე, ატყორცნილია ნაძვები ცაშიც, ცას, როგორც წვიმა წყდება სიმწვანე“.

(*სამშობლო პეტერბურგიდან*)

„იქნებ სიყვარული ფრთხილმა იციან, ლოღინც იციან, ცრემლებსაც აფრქვევენ, და მებრალევიან, ასე რომ იწვიან, სხვები კი მარტო მათ სიყვითლეს ამჩნევენ“.

(*ფოთლებზე სიყვარული იციან*)

საქართველო სიმღერებზე ქცუული, სიმღერაში დაიბადა, ალბათ, მინის ძარღვი ოფლით ამოცხებული შემოქმედება მუხის წყარო გახდა“.

(*მუხის წყარო*)

„მე თქვენზე ვფიქრობ დღისით და ღამით, გნამდეთ, ფიქრები მწვავს და მიმიდება. ყოველი წუთი, ყოველი წამი ამ მონატრებას მიფრქვევს ფიფქებად“.

(*მონატრება...*)

### ვულოცავთ საპატიო მოქალაქეებს!

ცოტა ხნის წინ, მრავალმა ბორჯომელმა, სტუმარმა და დამსვენებელმა, კიდევ ერთხელ იხიმიეს სახალხო და ლესასწაველი – ბორჯომელთა ცენტრი. მთელი დღის მრავალფეროვანი ღონისძიებების შემდეგ, საღამოს, გალა კონცერტის დაწყებამდე, ცნობილი ტელენაწამებელი დუტა სხირტლაძემ დასაწყისშივე დააანონსა ბორჯომის საპატიო მოქალაქეებად ცნობილი ბორჯომელების არჩევის შე-

სახებ. ამ დღეს ბორჯომის საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს და ვეფხისტყაოსნის“ მოქალაქეი გამოცემით დაავალდებულეს მწერალი ჩ. ჩხეიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მ. მურმანიშვილი, ინჟინერ-მშენებელი ვ.კახანიძე.

ვულოცავთ წარმოჩენილ პერსონებს ამ საპატიო წოდებებს და ვუსურვებთ დღეგრძელობას, წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

### ბორჯომელი ფოტოხელოვანი 85 წლისაა

ცნობილ ბორჯომელ ფოტოხელოვანს ბატონ ავთანდილ გელაშვილს 85 წელი შეუსრულდა.

იუბილარ ფოტოხელოვანს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბორჯომის ფოტო-მატიანის შექმნაში. მის

არქივში დაცულია ათასობით უნიკალური და ისტორიული მნიშვნელობის ფოტოსურათები, რომელთა დაცვა და შემდგომი თაობებისათვის გადაცემა მართო ამაგდარი ფოტოხელოვანის საქმე არ უნდა იყოს.

### დაფუძნდა მხატვართა რეგიონული ორგანიზაცია

თითქმის ორთვიანი მოსამზადებელი და ორგანიზაციული მუშაობის შემდეგ ახლახან დაფუძნდა სამცხე-ჯავახეთის მხატვართა რეგიონული ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანდნენ ბორჯომის, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის და ახალქალაქის პროფესიონალი და მოყვარული მხატვრები.

მხატვართა რეგიონული ორგანიზაციის თავმჯ-

დომარედ არჩეული იქნა ბორჯომელი პროფესიონალი მხატვარ-ღიზინერი თანგული ორთოიძე.

მხატვართა რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელთა კრებას ესწრებოდა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ბატონი გურამ ცერცვაძე.

**თამარ ხუხუნაშვილი,**  
ქ.ბორჯომი

# მასწავლებელი მასწავლებელი

არიან ადამიანები, რომელთაც ღვანლი და სახელი ეამაყება არა მხოლოდ სრულიად საქართველოს, დედამშობლოს გულს – თბილისს, არამედ საქართველოს ცალკეულ მხარეებსაც, მათში შემავალ ცალკეულ რაიონებს, ამა თუ იმ ქალაქს, დაბას თუ სოფელს.

ასეთ ადამიანთა შორისაა ბრწყინვალე პედაგოგი, მეცნიერი, მასწავლებელთა მასწავლებელი დარეჯან ბერიძე. მისი სახელი, ღვანლი და სხონა ეძვირფასება არა მარტო თბილისს, სადაც სიცოცხლის ბოლო წლებში მოღვაწეობდა, არამედ ასპინძის რაიონს, კერძოდ, სოფელ ერკოტას, სადაც დაიბადა. ეძვირფასება აგრეთვე ბორჯომს, რადგან აქ, 1950 წელს, ერკოტის მესამე დაბადავრა ამავე ქალაქის რკინიგზის საშუალო სკოლა.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის, ხოლო ასპირანტურის დამთავრების შემდეგ კი კვლავ მშობლიურ ბორჯომს მოუბრუნდა და ათი წელი იმოღვანა იმავე საშუალო სკოლაში პედაგოგად, სადაც სწავლობდა. აქვე დაოჯახდა, ხუციშვილების რძალი გახდა – ინჟინერ თენგიზ ხუციშვილის მეუღლე. ეს ოჯახი ინჟინრებით და პედაგოგებით იყო „სავსე“; თენგიზის ძმა – მარლენი და მისი მეუღლეც პედაგოგები იყვნენ (ბატონი მარლენი ბოლოს ნალვერის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა).

ქალბატონ დარეჯანს მძიმე ბავშვობა ჰქონდა. ექვსი წლისა ღვანა გარდაეცვალა. ბიძამ უპატრონა, ცნობილი ისტორიკოსმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი ტიკაძემ. სწორედ მან გადმოიყვანა ბორჯომში. არც თბილისში აკლებდა ყურადღებას იგი;

ბორჯომში, პედაგოგად მოღვაწეობისას, ქალბატონმა დარეჯანმა მამიერო მიქელაძე შეიცვალა, როგორც ნოვატორმა პედაგოგმა. მისი დაბადების 70 წლის თავზე, 2002 წელს, ერთ-ერთ რესპუბლიკურ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში სათაურით – „ბიბლი კეთილშობილებისა“, ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ცისანა კვინცაძე-გომიანი ასე ახასიათებს დარეჯან ბერიძეს, როგორც პედაგოგს: *„მასთან ურთიერთობა ბედნიერებს ანიჭებს ყველას, უპირველეს ყოვლისა, მისზე უფრო სწავლად შეყვარებულ მოსწავლეებს, კოლეგებს. საგნის ღრმად ცოდნასა და მისი გადმოცემის შესანიშნავ უნართან ერთად, ქალბატონ დარეჯანს ღვანლი მომადლებული ჰქონდა მოსწავლეებთან დამოკიდებულების არაჩვეულებრივი ნიჭი. მისთვის არ არსებობდა ძნელად აღსაზრდელი თუ რთული მოსწავლე. დარეჯან ბერიძის ჩატარებული ღვაწი გასწავილები საოცრად ხიბლავდა ყველას. იგი გამოირჩეოდა ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით.“*

თუ რაოდენ პოპულარული იყო დარეჯან ბერიძის სახელი თბილისის სკოლებში, ამის შესახებ მისმა შვილმა, ექიმმა, ქალბატონმა შორენამ ჩემთან საუბარში აღნიშნა: *„ერთ დროს ჩემი შვილების, ლამას და ნათიას, ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადაყვანა მომიწია. როდესაც პედაგოგები გაიგებდნენ, ვისი შვილშვილები იყვნენ, გაოცებულნი და კმაყოფილნი ამბობდნენ: „ქალბატონი დარეჯანი თქვენი ბებიაა?“ და ბავშვებისა იუფრო მეტ ყურადღებას იჩენდნენ.“*

ბოლო წლებში ქალბატონი დარეჯან ბერიძე „მოხდა“, რომ მას უფრო მეტი შეეძლო გაეკეთებინა ქართულ პედაგოგიკურ მეცნიერებაში თავისი ღვანლით, კერძოდ, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიაში სიახლეების დანერგვით, რისთვისაც იგი გადადის თბილისში და ლექციების კითხვას იწყებს: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკურ ცენტრში.

ისევე ქალბატონ ცისანა კვინცაძე-გომიანის მოუღმინო: *„ფართო ერუდიცია, ლიტერატურის მეთოდოლოგის ღრმა ცოდნა და აუდიტორიის დაპყრობის ნიჭი მას ბრწყინვალე ლექციების რეჟისორის უქმნიდა. აუდიტორია სტუდენტებისა, თბილისელი თუ შორეული რაიონების პედაგოგებია თუ მშობელთა საზოგადოებისა, ყოველთვის კმაყოფილი იქნებოდა მისი გულმოდობილი და ღრმომხიარული ლექციებით, ცხოვრებისეულ პრობლემებზე დამაჯერებელი მსჯელობით.“*

ბუნებრივია, ასეთი ავტორიტეტული

და მალა ადამიანობას კარგად გამოხატავს ერთი ცხოვრებისეული მჭირბიცი: ინსტიტუტში, თურმე, ერთი ყარაული მუშაობდა, სახლად გიორგი, სულ ცხელი კერძები მოჰქონდა მისთვის ქალბატონ დარეჯანს, „მამას მაგონებსო“ – ასე ამბობდა.

იგი, ასევე, ღირსეული დედა და ბებია იყო. ქალბატონ შორენას გარდა ვაჟიც ჰყავს, მუხრანი, რომელიც ზოიონიერი არა. ქან შორენას შვილიებიდან ლამა 28 წლისაა, დაოჯახებული, ერთი შვილიც ჰყავს, – ალექსანდრე, ოფისტია; ნათია 24 წლისაა, მაგისტრატურაში სწავლობს, პარალელურად მენეჯერად მუშაობს „შატო მუხრანში“.

ქალბატონი დარეჯანი თითქმის ყოველ ვაფხულს ჩამოდიოდა და ისვენებდა ბორჯომში. მას ძალიან უყვარდა ბორჯომი და ბორჯომელები, განსაკუთრებით თავისი მოწაფეები და კოლეგები. ასეთივე სიყვარული უბრუნებოდა მათგან.

ქალბატონი დარეჯანი 2013 წელს გარდაიცვალა, 81 წლის ასაკში. იგი დიდი იაკობ გოგებაშვილის ქართული პედაგოგიური სკოლის ღირსეული წარმომადგენელია, – მართლაც მასწავლებელთა მასწავლებელი იყო.

როგორც აღინიშნა, დარეჯან ბერიძის ღვანლი, სახელი და სხონა, ერთიანად ძვირფასია როგორც თბილისელებისა და ასპინძელებისათვის, ასევე ბორჯომელებისთვისაც.

**შუხანგი ჰანგირაშვილი**

გაგრძელება. დასაწყისი ნინა ნომერში

„სანიჭარი“

ქორწილზე მესხეთ-ჯავახეთში იციან ფული, პური და საქონლით შენევენა ნეფის ოჯახისადმი, რომელსაც „სანიჭარი“ ეწოდება. „სანიჭარი“ ყოველთვის პირველად ნათლია იხდის და მერე სხვები.

„სანიჭარი“ აქ უფრო ფული იციან. შეძლებული ნათლია 10 თუმნამდის აძლევს (ძველად 8-9 მანეთს), სხვები თანდითან უკლებენ და ჩამოდის 20 მანეთამდის.

„სანიჭარს“ ასე აგროვებენ: ერთი ენა წყლიანი ახალგაზრდა გადაჯდება ჭაქულზე (მაჯის სისხო გათლილი კეტი, მოღუნული შვილიდევით. თავებში აქვს ჩანგლები /რკინისა/, რომელზედაც ვედროებს ჰკიდებენ და წყალი მოაქვთ), ვითომ ცხენია. შემოაჭენებს მოქვიფებთან და დაიძახებს ცხენით: „იიიჰაჰაჰა!“ და გაჩერდება. ამოიღებს ქალაღს უბიდან და გადასცემს თამადას, რომელიც კითხულობს და მერე აცხადებს: „ხალხნო, სმენა იყვეს და გაგონება. ჩვენს ხელმწიფეს ხარჯი შემოუნერებია ჩვენზე, რას იტყვი, გადვიხადოთ თუ არაო?“ – „გადვიხადოთ, გადვიხადოთ!“ – ისმის ხმები.

პატარაძალს და ნეფეს ლოგინს დედამამიანი ქალი უშლის. დილით რომ ადგება „ნეფე-ძველა“, მისთვის ლოგინში ფულს (3-5 მან.) სტოვებს. პატარაძალი დედამთილ-მამამთილს „უნძრახობს“, ე.ი. ორისამი წლის განმავლობაში ხმას არ სცემს, არ ელაპარაკება და მათ ყოველ საღამოთი დანოლის დროს ფეხსაცმლები უნდა გახადოს. ასე გრძელდება ერთ წლამდე. ახლანდელი პატარაძლები კი ასე აღარ იქცევიან.

კარგ პატარაძალზე აქ ასე მღერაინ: ისრე უნდა სახლის რძალი, ირხეოდეს ვერძივითა, დედამთილსა ემსახუროს, მამამთილსა ღმერთივითა, იმას ისეც შეინახვენ უგუნური მტრედევითა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს ასე უძახიან: „კაცო-გოგო“ და სახელითაც.

ცოლ-ქმრის გაყრა ჯავახეთში იშვიათად ხდება, რადგან „დიდ სირცხვილად“ ითვლება და თუ ეს მაინც მოხდა და ცოლ-ქმარი გაიყარნენ, იმათ მთელი სოფელი ყბად აიღებს, ე.ი. სულ მათზე ილაპარაკებს დიდი თუ პატარა.

ვისაც ვაჟი არა ჰყავს, მას ზედსიძე შეჰყავს ოჯახში, მაგრამ ეს აქ დამამცირებლად ითვლება ძალიან, რადგან ანდა-

მიცვალებულს წინეთ მესამე დღეს ასაფლავებენ, ახლა კი მეორე დღეს იციან. ამ დღეს მიცვალებულის სახლში ცხვება ახალი პური, რომელსაც აქ „მკვდრის პური“ ეწოდება და ხმარდება მის დასაფლავებას. დაჰკლავენ აგრეთვე საკლავს, მიიტანენ ერთ-ორ ჩარეჭ არაყს. როცა ცხედრით ასწვენენ კუბოს, იმ სახლის კარებს, საიდანაც მიცვალებული გამოაქვთ, კუბოს კარებს სამჯერ მიახლიან:

მიცვალებულს ხელებს ჯვარედინად უწყობენ და ხელებშიც სანთლებს უდებენ. სამარეს სიღრმით 2 მეტრამდის თხრიან.

სახლიდან კუბოს რომ გაიტანენ, ვისაც ბავშვი ჰყავს აკვანში, ააყენებს, ან თვით აკვანს ერთი თავით მაღლა ასწვენს, რომ „არ დაქელოს ბავშვი“, გარდა ამისა, ამ დღით თუ გაიგეს სხვებმა, პურსაც არ გამოაცხობენ და თუ გამოაცხვენს, პურის ცომს არ შეინახვენ.

მიცვალებულის ქალები ცოტას მიაცილებენ და უკანვე ბრუნდებიან მალე, წესია, რომ „მღვდელმა უკან არ უნდა მიიხედოს. თუ მიიხედა, სხვაც მოკვდებაო“. როცა მღვდელი ჰყავდათ, მიცვალებულს ეკლესიაში ნათლებდნენ, „ანდერძს“ აუგებდნენ. ერთ ღამეს იქ დასტოვებდნენ

„სამძიმრის“ ნაღება, რომელიც შედგება: ქადა-ნამცხვისაგან და ნახევარ ჩარეჭ არაყისაგან, მიაქვთ აგრეთვე ჭირისუფლისთვის (უფრო კი ქალებისთვის) თავსახურავი, საკაბე ან სხვა რამე.

მიაგებენ მიცვალებულს, შენდობას ეტყვიან, დალევენ არაყს, „პურს გასტენენ“.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯავახეთში მიცვალებულის დასაფლავება ძალიან დიდი ხარჯი უჯდება ჭირისუფალს, რადგან აქ მიცვალებულზე არავითარი შენევენა არ იციან (თუ მიცვალებული უპატრონო ვინმე არ არის), ქორწილზე კი, პირიქით ხდება. აქედან წარმოიშვა ლამაზი ანდაზა: „იქცეოდეს შეესიე, შენდებოდეს შეენიეო“.

მიცვალებულის საფლავზე ვისაც შეძლება ხელს უწყობს, ქვას ადებს (ზოგი ძველსაც), რომელზედაც ამოჭრილია ჯვარი და წარწერა. წარწერა ლექსად იშვიათია და იგი შესრულებულია პროზად. ზოგი ისეთი სევდიანი და ნალვლიანი წარწერა არის, რომ ნამკითხველს დაალონებს (და იქნება აატიროს კიდევ). წარწერაში მოხსენებულია მიცვალებულის ვინაობა და დაბადება-გარდაცვალების წელი.

დამაფინყდა, რომ, როცა სახლში უფროსი მოკვდება, დასაფლავების შემდეგ

სადსური ჩვეულებები

ამის შემდეგ, როგორც ვთქვი, პირველად „სანიჭარს“ იხდის ნათლია, შემდეგ მიპატიუებულები და სულ ბოლოს, სახლის კაცები და მეზობლები.

„სანიჭარსაც“ ხმა მაღლა იძახის, სწორედ ის კაცი, რომელმაც „გადასახადის ქალაღი“ მოიტანა. ნათლის „სანიჭარს“ ასე დაიძახებს: „ხალხნო, სმენა იყვეს და გაგონება (თან ხუმრობს), ეს ღმერთმა ასახელოს ამ ოჯახის ნათლია, თავის ოჯახობით, გაუბედნიეროს ნათლიმამაც და ნათლიდედაც. აქ მყოფებშიც უცოცხლოს, ასეთი ბედნიერება ყველას ოჯახში მოილოს, ნეფისთვის მოურთმევია ... (იტყვის რიცხვს) თუმანი, გაუბედნიეროს და ასახელოს!“ – ისმის ხმები.

დამძახებული ამ ფურს გადასცემს თამადას, რომელიც აგროვებს ყველას „სანიჭარს“ და შემდეგ როცა დასრულდება „სანიჭარის“ შეგროვება, მთელ ფულს გადასცემს ნეფეს, რომელიც თავის მხრივ უფროს გადასცემს.

ნათლის შემდეგ დამძახებული ოხუნჯობით ჩამოუვლის სხვებს და ასე ყველასაგან აგროვებს „სანიჭარს“, ბოლოს მთელ საერთო თანხას დაიძახებენ, რის შემდეგ დაინყებენ ახალ-ახალი სასმელსაჭმლის მიტანას, რასაც ეწოდება „სუფრების გაახლება“.

სმა-ჭამის შემდეგ გაიმართება ცეკვა-თამაში, რაც გათენებამდის გრძელდება. მეორე დღეს ქორწილი კვლავ გაახლდება. უფროსი ვინმე ნეფე-დედოფალს გვირგვინებს მოხდის. ამ დროს ნეფე მაყრებს უნდა დაემალოს, თორემ „სცემენ“. ამ დღით ნეფე და დედოფალიც „ნეფის ძველა“-თ და „დედოფლის ძველა“-თ ისხენიებიან სადღეგრძელოებში. ამავე დღეს, საღამოთი, ნათლია რომ სათამაშოდ გაიწვევს, ფულს ჩაუდებს ხელში და ისიც ხელზე უქითხავს.

წესია, რომ ამ დღეს პატარაძალი ყველამ უნდა ათამაშოს: შინაურმაც და გარეულმაც, რომ გამოსცადონ – „კარგი თამაში იცის თუ არაო“. ვინც პატარაძალს სათამაშოთ ინევეს, წესია, რომ ყველამ ფული უნდა აჩუქოს. ისე ღლიან საწყალ პატარაძალს ყველანი თამაშობით, რომ ოფლი წურწურით ჩამოსდის სახეზე.

პატარაძალს რომ ათამაშებენ, მერე იციან „შვიდი წყვილი“ ფერხული, სადაც არიან სულ ცოლ-ქმრისა ერთად. ნეფე-პატარაძალს ამ დროს ჯვრის წერის სანთლები (კელაპტრები) ანთებული უჭირავთ ხელში და ისე უვლიან ფერხულს. შემოუვლიან სამჯერ და „შვიდი წყვილიც“ გათავდება.

მესამე დღეს პატარაძლის მაყრებს გაისტუმრებენ თავიანთსა. პატარაძლის ძმას კიდობანის გასაღებს სთხოვენ, ის იქამდის მას არ მისცემს, სანამდის მას ერთ წყვილ წინდას არ ჩააცმევენ და ისიც გასცემს მამინ თუ დეათმებს.

მაყრები მიდიან ქალის მშობლებთან და კითხულობენ, როგორი ქორწილი გადაიხადეს, როგორ იმგზავრეს და სხვა მრავალ რამეს მოუთხრობენ, მერე კი ყველა თავის სახლში წავა.

ზისა არ იყვეს „ზედსიძის ჯოხი კარებს უკან არის აყუდებულიო“.

ქვრივის გათხოვება აქ იმდენად სირცხვილად არ ითვლება, თუ ობლები არა ჰყავს, ის ქვრივი გაუთხოვარი მაინც არ დადგება და ქმრის ოჯახიდან გასვლისას თავისი „წილი“ (ე.ი. მზითვენი და სხვა) თან მიაქვს.

ტირილისა და გლოვის წესები

ვინმე რომ მოკვდება, ყველა მისი მოკეთებები და სახლი კაცები მასთან თავს იყრიან, თუ მახლობელ სოფელში ქალი ჰყავს გათხოვილი ან და მის სიკვდილს შეატყობონებენ, სხვების, ე.ი. სახლი კაცების, ანუ აქაურულად, „განაყოფები-სა“ და მეზობლების მოწვევა წესად არ არის მიღებული, მათ ერთმანეთს თვითონ უნდა შეატყობინონ და ისე მივიდნენ მიცვალებულის სახლში. ტირილი იციან ქალებმა ხმა მაღლა, მოთქმით, კაცები კი არ ტირიან ხმამაღლა, არამედ ისე ზუზუნებენ, რადგან ვინმემ რომ ხმა მაღლა იტიროს, ეტყვიან: „რას ღრიალებ, სირცხვილიაო!“ ქალები კი ტირიან და მოსთქვამენ მომენტებს მისი ცხოვრებიდან. ვისაც ახალი მკვდარი ჰყავს, ის „მოკითხვას აბრის მასთან“, რადგან სწამთ, რომ იქაც ქვეყანა არის და ცხოვრებაც.

ვისაც ხელიდან გამოსდის, ის კუბოს უკრავს მიცვალებულს, რომლის ფიცრებსაც თვით მიცვალებულის ჭირისუფალი აძლევს.

კუბოს რომ შეუკრავენ, მერე ჩააცმევენ მიცვალებულს იმ ტანისამოსს, რომელიც მას მეორეხელად შენახული ჰქონდა, რაიმე „ბედნიერი დღისათვის“. კუბოს იმ ნარჩენებს, რომელიც კუბოს ფიცრების გათლის დროს დაგროვდა, ჩაჰყრიან გოდორში და სახლის მოშორებულ, სადმე გადაჰყრიან, რადგან მისი დანვა მიღებული არ არის წესით და „არ ვარგა სახლისთვის კარგი არ არისო“. იტყვიან ასე: „საფლავში არ მოისვენებსო“.

სანამ კუბოს შეუკრამდნენ მიცვალებულს, ანუ აქაურულად რომ ვთქვათ, „ცხედარს“, მანამდის მიდის რამდენიმე კაცი და მას საფლავს უთხრის საერთო სასაფლაოზე. მესაფლავები ნაიღებენ ცხედრის ზომას და იმის მიხედვით სჭირან სამარეს. ჯერ კი სანამ სამარის ამოთხრას შეუდგებოდნენ, იმ ადგილს, სადაც სამარე უნდა გათხაროს ამან, ჭრიან პატარა ჯვარს, დადგვენ შუაზე და ისე დაინყებენ ამოთხრას. ჭირისუფლებიდან ერთი ვინმე მესაფლავებს ნაუღებს ახალ გამოცხვარ პურს და ცოტა არაყს, თუ სხვა ვინმემ გაიარა, ამ დროს სასაფლაოსთან ახლოს, იმასაც დაუძახებენ, არაყს დააღვინებენ და ცოტა პურს აატეხინებენ. ვინც გაივლის მათთან, ეტყვიან: „ღმერთმა შეინყალოსო“, „ამინ, შეინყალოს!“ – უპასუხებენ მესაფლავენი, ასევე იციან კუბოს გაკეთების დროსაც.

და მეორე დღეს ასაფლავებდნენ.

ცხედარს რომ სამარეში ჩაუშვებდნენ, თავს დასავლეთისკენ უშვებდნენ, რადგან ჯავახელებს სწამთ, რომ „მეორედ მოსვლის დროს ყველა მკვდარი, მგლის შეჭმული, წყალში დამხვრჩალი, ფეხზე წამოდგება და პირი აღმოსავლეთისკენ ექნება, ისე შევედრება უფალსაო“. სამარეში ჩადებულს ცხედარს ყველა თითო მუჭა მიწას აყრის სიტყვებით სამჯერ: „მინა ხარ და მინად იქეციო“, შემდეგ კი ბარებით და ნიჩბებით ექვს-ექვს ნიჩაბ მიწას რომ მიაყრიან, მერე ნიჩაბი უსიტყვოდ უნდა დააყრიან მინაზე, ახლა სხვა აიღებს და ისიც მიაყრის, მინაზე იმიტომ აგდებენ ნიჩაბს და ხელში არ აძლევენ სხვას, რომ ასეა წესი, „არ ვარგაო“ – იტყვიან. ვინც დასაფლავებას შეესწრო, ყველა მიჰყავთ ფიჭოვანებს.

სახლში რომ მივლენ, კარებზე ყველას ხელებს აბავინებენ წყლით, მერე შევლენ ყველანი სახლში და მდუმარედ დასხდებიან. ჭირისუფლები მიუტანენ მათ სუფრებს: პურს, წვნიან ხორცს და არაყს. სამი სტაქანია წესი, მეტი არა. ქალებში თითო.

არაყს რომ აიღებენ სტაქნით, ჭირისუფლებს ასე მიმართავენ: იცოცხლეთ, ღმერთმა გაშორეთ, ლხინზე დაგიბრუნეთ, იმის სულის ნათელი დააყენოს და სასუფეველი დაუშვიდროს, მისი სულის მოსახსენებლად თქვენ გაცოცხლოთო“.

როცა გათავდება „მკვდრის პური“, გარეშეები ადგებიან და მიდიან. ჭირისუფლები კი, რომლებსაც ვალებული კარები უჭირავთ, მათ გასაცხლებლად, ყველას ხელს ართმევენ და ეტყვიან: „ღმერთმა თქვენ გაცოცხლოთ“ და ასე ყველა თავის სახლში მიდის. ჭირისუფლებს კი ნუ-გემს სცემენ.

ამის შემდეგ ყველა მოკეთე თითქმის ორმოც დღემდის წვერს არ იპარსავს, ქალები კი თმას იკოპებენ, სანამ ჭირისუფალი ნებას არ დართებს (რომ წვერი მოიპაროს და თმა გაიშალოს), იქამდის ასე არიან.

გავა ამის შემდეგ ექვსი დღე და მე-7-ს მიდიან მიცვალებულის საფლავზე, რომელსაც „შვიდზე გასვლას“ უწოდებენ. ნავლენ უფრო მახლობელი მოკეთები. საფლავზე მიცვალებულს სანთელს უნთებენ, ტირიან-გლოვობენ, პურს სჭამენ, არაყს დალევენ და მიცვალებულს შენდობას ეტყვიან. 40 დღის შემდეგ ასევე ივლიან მიცვალებულს და შემდეგ კი გადუხდიან დიდ ქელესს, რომელსაც „წლის წირვას“ უწოდებენ. მღვდელს დაუძახებენ, საფლავს უკურთხებენ და სხვა ქრისტიანულ წესებს შეუსრულებენ. შემდეგ დაუძახებენ ყველა ღარიბ-ღატაკს, ქვრივ-ობლებს და ყველაფრით კარგად გაუმპასიონდლებიან (ეს უფრო ძველად იყო).

მიცვალებულების გახსენება იციან კიდევ: ადღგომას, კვირაცხოვლობას, წითელ პარასკევს და სხვ.

მოკეთებმა იციან ჭირისუფლებთან

ზედმეტად ბოძს აძლევენ, ვითომ „უფროსია და სხვები აღარ გაიყოლოსო“. აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ: თითქმის ყველა ძველ სასაფლაოზე, ჯავახეთში, მნახველს ხშირად შეხვდება საფლავზე ქანდაკებანი ცხენების და, განსაკუთრებით, ვერძების (ყორების), რომელნიც ისე ლამაზად არიან გამოყვანილი, რომ კაცს მართალი ცხენი და ყორი ეგონება, არის აგრეთვე აკვნების ქანდაკებები. ზოგ საფლავის ქვაზე კი გუთნული და გუთნის დედაც არის გამოყვანილი (სოფელ ბარალეთში ძველ სასაფლაოზე).

მოხუცები კითხვაზე ვინაშაუხებენ, რომ ძველად ასე იყო: ვინც გუთნი დედა იყო, იმას საფლავზე გუთნას ამოჭრიდნენ და ვინც მეცხვარე, ყორის ქანდაკებას დაუდგამდნენ საფლავზე. კარგი ცხენოსნის და მეომრის საფლავზე კი ცხენის ქანდაკებას დაუდგამდნენ. ახალგაზრდა ქალს კი, რომელსაც ჯერ შვილების სიყვარული კარგად არ გამოეცადა, აკვანის ქანდაკებას უდგამდნენ.

(გადმომცა სოფელ ბარალეთში მცხოვრებმა ბასილ გოგოლაძემ, რომელიც 70 წლის არის ამაჟამად).

ახლა აღარ იციან. ამ ოცდაათი წლის წინეთ კი სცოდნიათ, რომ რაკი მიცვალებულს დაასაფლავებდნენ, იმ სახლში, სადაც გარდაიცვალა, შვიდ დღემდის იქ რომელიმე ჭურჭლით წყალს დაგამდნენ და ყოველ საღამოს სანთელს უნთებდნენ, რადგან ჯავახელებს სწამთ, რომ მიცვალებულის სული შვიდ დღემდის სახლში ტრიალებს. სანთელს იმიტომ უნთებენ, სული სიბნელით არ იყვესო და წყალს კი იმიტომ, რომ, როცა გული უწუხს, სიცხისაგან გული გაუფრილოს.

წინეთ ოჯახში რომ უფროსი მოკვდებოდა, დასაფლავების შემდეგ სახლს ზედმეტ ბოძს მისცემდნენ, რომ მკვდარი „სახლის ბოძი იყო“.

ჯავახელთა წარმოდგენით, მიცვალებულის სული ანგელოზებით ფრთებშესხმულია და ცაში მიდის, იქ გზაში ერთ მხარეს ეშმაკები დგანან, მეორეს – ანგელოზები. თუ მიცვალებულს თხილის ოდენა რაიმე სიკეთე აქვს დათესილი, მას მაინც ანგელოზები თავისკენ გააქანებენ და ღმერთთან მიიყვანენ. ეშმაკები კი ცოდვიანს ჯოჯოხეთში შეაგდებენ, ღმერთი მაღლიან სულს სამოთხეში გზავნის, რომელიც ჯავახელთა წარმოდგენით, მშვენიერი ხეხილიანი ბაი, ლამაზი წყაროები ჩამოდის. მათი სულები მზვან ხეებზე შესხდებიან და ჩიტებივით გალობენო, ვისაც მკვდარი ბავშვი ჰყავს, იმასაც იქ ინვევენ და ამნაირად მუდამ ლხინსა და სიხარულში არიანო.

ნაამბობი სოფელ ბარალეთში რახიელ ქსტატიას ასულ მომლოაძისაბან, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის ფონდიდან. ჩანერილია მიწრი-ში მომლოაძის მიერ 1937 წელს. მოგვანოდა ბრიგოლ ჯვარციძემ და ლევან ლაფაჩმა 2018 წელს.

(არაკი)

ფაშა და მოჯამაგირე

ერთ ფაშას ერთი მოჯამაგირე შეყვნიდა. ერთხელ მოჯამაგირე ეკითხება ფაშას, — როგორ მოპებურდა სამსახური და თან ოჯახი გაახსენდა: — ფაშა, არნა გამიშვა შინა — ვადა არ გამითავდაო? ხო ხედავ, კაი ხან გემსახურე ერთგულათაო; არაფერი გამიფუტებია.

ხალხმა ასწავლა: ხო იცი, შვილო, ხალხი ყველაზე ჭკვიანია — ასე მოიქცეო — თუ არ გაგანთავისუფლოს, ჩვენ ვაგენთ პასუხსო: — მაგ შენ ფაშას რო ქოფაკი (ძალლი) ჰყამს, ნელზე ხროლი (წნელი) შემოუჭირო და თუ რამეს გეტყვის ფაშაო, — უთხარი მაშინა. თაზიანა (მწვეარი) გავხადო და იმიტუნ შემოუჭირო ხროლიო. მართლაც მოჯამაგირე ისე მოიქცა, როგორც თავი სოფლის ხალხმა ასწავლა. ერთხელაც დაიჭირა ეს ქოფაკი და დაუწყო ნელზე ხროლის შემოჭრა. სწორედ ამ დროს სეირნობდა ფაშა, დაინახა რო თავისი მოჯამაგირე რაღაცა უცნაურ რამეს აკეთებდა და ჰკითხა გაოცებით: — რაჰ შენგებო, მე კაი კაცო, ძალლი ხო არნა მოკლაო? — არაო, დიდებულო ფაშაო, ნელი დაუმინროვდება და თაზი გახდებაო. ფაშამ გულმოსულად უპასუხა: —

მერე სად გაგონილა ასეთნაირად თაზიანა ქცევო, რატო ამდენ არ ფიქრომო? მერე ძრიენ გიხარდა მოჯამაგირეს, რადგან დაიჭირა ფაშა სიტყვაში და მიუგო: — შე კაი კაცო, თუ შენი სიტყვით და ბევრი მსახურით მე ფაშათ ვიქცევიო, ეგ ძალლი ნელზე ხროლის მოჭერით თაზიანა არ გახდებაო? ფაშა მიხვდა თავის შეცდომას და კმაყოფილი მოჯამაგირე სახლში გაუშვა. მოჯამაგირეს ანგარიში გაუსწორა ფაშამ და გახარებულმა მოჯამაგირემ მადლობა გადაუხადა ჯერ ფაშას, შემდეგ კი ხალხს, რომელმაც ჭკუა ასწავლეს და შინ წამოვიდა.

მთქმელი მაქსიმე ბარამიძე, სოფ. ჩუნჩხა, ჩანერილია 1948 წელს ბრიტოლ პარიზის მიერ

სოფელ უდის საფლავის ქვის ეპიტაფიები

\*\*\*  
„რას დამცქერით, მეგობრებო, უდროოდ გავხდი სატირელი, წუთისოფლის მზე და მთვარე გამხდენია სანატრელი“.  
\*\*\*  
„ფიქრებით ნაიარები, შენს გზაზე დავიარები“.  
\*\*\*  
„გავა დრო და მეც მომელის დასვენება სულის, სანამ მოკვდე, მელანდება საყვარელი სულ ის“.  
\*\*\*  
„ჩემი უდროთ სიკვდილი მტერო, ხომ შენი ბრალია,

არ გაპატიებს ბუნება, გადაგხედება ვალია“.  
\*\*\*  
მიყვარს სანთელი და იცით რატომ? ისიც ჩემსავით რომ იწვის მარტო“.



\*\*\*  
„იყავი ტურფა ასული, ახლა უდროოდ ზეცას ასული, ქარი საფლავს მონაბერი გიგალობს ვით მონა ბერი“.  
\*\*\*  
შეგიმოკლდა სააქაო კარნავალი, ნაიშალა შენი ფეხის კარ ნავალი, გაგიყურდა, ო, რა გული, ვით ხმელეთზე ორაგული. ჩვენი გზები გაგვეყო რა,

ეს გული რომ გაგვეყვორა, გული მინას დაუფალი მე ბრალში ვარ და უფალი“.  
\*\*\*  
**სამაჩაბლოში დაღუპული ჯარისკაცის საფლავის ქვის ეპიტაფია.**  
ამ სასტიკმა რუსის ხელმა რა უღმობლად დადო მახე, მომამორა წუთისოფელს შავ მინაში დავიმარხე. დავრჩი ამ საფლავის ქვეშე, ავი, კარგი ვერა ვნახე, სახლი დამრჩა ცრემლით საგვს მდულარებით დავიმარხე“.  
ჩაინერა ანტონ ბალახაშვილი 2018 წელს ადგილის მუნიციპალიტეტის სოფელ უდში.

ხელოთი და ხელოთელები

სოფელი ხელოთი მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მას დასავლეთის მხრიდან ჩამოუდის მდინარე „წმინდა წყალი“, ხოლო აღმოსავლეთიდან აკრავს ბუზიყლაპიას ხევი. სოფლის გარშემო უმშვენიერესი ბუნებაა. დღევანდელი ხელოთის მოსახლეობა შედგება 1944 წელს გეგმიური წესით ჩამოსახლებული გუდამაყრელებისაგან, ახალციხის რაიონის სოფელ ღრელიდან და ასპინძის რაიონის სოფელ ჭობარეთიდან გადასული ადგილობრივი მესხებისაგან. გასული საუკუნის 70-იან წლების მიწურულს ხელოთელი მამაკაცები გამოირჩეოდნენ გადაჭარბებული ქეიფებითა და დროისტარებით. ამ მხრივ რეგიონში სახელიც კი გაითქვეს და კურიოზული შემთხვევებიც არაერთი გადახდენიათ თავს: ერთხელ, გვიან ღამით, ახალციხის ავტოსადგომზე გაჩერებულ ერთ-ერთ ტაქსის მძღოლთან მთვრალი მამაკაცი მისულა, ტაქსში ჩამჯდარა, გადაუწოდებია მისთვის 25 მანეთიანი და უთხოვია, სოფელში წამოყვანო. იგი ისე უზომოდ ყოფილა მთვრალი, რომ ვერაფრით ვერ აუხსნია, რომელ სოფელში უნდა წაეყვანა. მძღოლი ვერ შელევია 25 მანეთიანს, რადგან მაშინ ეს თანხა ძალიან დიდი იყო და, უფიქრია — ეს კაცი უეჭველად ხელოთელი იქნებაო, უმალ გეზი იქითკენ აუღია, სოფლის ცენტრში აუყვანია კლიენტს და იქვე ჩამოუყვამს. ბიოგრაფი მყოფ ხელოთელებს მთვრალი ჩვეულებრივად მიუღიათ — ჩვენნა-

ირიო და სახელდახელოდ არაყივ გაუჩენიათ, — კიდევ უფრო გამოუთვრიათ „დაუბატიყებელი სტუმარი“, მერე კი ვილაცას სახლშიც წაუყვანია დასაბინებლად. მასპინძელს მხოლოდ მეორე დღეს გაუგია, რომ უცხო ომორელი

ყოფილა და დილითაც, გამოსაფხიზლებლად, თითო „პოლიტრაც“ დაუყოლებიათ. თითქოს დაემთხვაო, ამ ამბიდან სულ ცოტა ხანში, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, აიკრძალა როგორც მინანახადი ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება, ასევე გამკაცრდა შინნახად სასმელებზე კანონები, რის გამოც ძალზე დიდ გულისწყრომას გამოთქვამდნენ ბახუსის მოყვარული ხელოთელები და მთავრობის ამ გადაწყვეტილებას ცხრასართულიანი გინებით ამკობდნენ, მაგრამ რას გაანყობდნენ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

ამ გაზაფხულზე მე და ჩემი თანასოფელი, ცნობილი სახალხო მთქმელი ზაურ ჯვარიძე, ერთი დიდებული ადამიანის დაკრძალვაზე ვიმყოფებოდით ხელოთში. სოფელში მისვლა ცოტა ადრე მოგვინია და ძველი ნაცნობებიც მოვინახულეთ. **ჰაი, ღედასა, ხეოთო!**  
ხეოთში გვალვა მძვინვარებს, კანონი მეტად მშრალიო, აუკრძალიათ ღვინის სმა, — უნდა დალიოთ წყალიო. წვეთსაც აღარ სვამს ვოდერძი, — სადაა სამართალიო? ზოგს ელოდება „კაპეზე“, თუ დაიჭირებს მთვრალიო. მთვრალს ვედარ ნახავ ხეოთში, უნდა დავრეკოთ ზარიო, სადაა რეზოს დუქანი, — ბახუსის საბუდარიო. არც „წვენო“ ისმის ბირჟაზე, აღარც მერცხალას შარიო, დროშას ტოლოში წაიღებს, ვაი, ხეოთის ბრალიო. აღარც ანზორა თამადობს, — ექიმმა ამიკრძალაო, ერთჯერზე დაღვინის დოზა ათმაგად ჩამითვალაო. აღარც სანდრო სვამს ღვინოსა, სტუმარს მასპინძლობს ყავითა, არადა საწყალ ჭობარელებს არაყს გვასმევდა ჯამითა. მშრალზე თამადობს ოთოცა, პირს არ აკარებს ჭიქასა, „ფხიზელი ი კაცის ნათქვამი ისე როდის სწავს ჯივარსა“. ღმერთმა დალოცოს ხეოთი, ავისგან დაიფაროსა, მისცეს ქეიფის ხალისი, ღვინო არ დაუძმაროსა. ხეოთელებთან დაღვინა მადლი მგონია ღვთისაო, ის მწვერვალია ბახუსის, — აკადემია სმისაო. უღვინოდ ჩვენი ცხოვრება მთლად უაზრობა მგონია,

მაგრამ ამდენი ღვინის სმა არსად არ გამოგონია. აკი, მეც მეუბნებოდნენ: — ზაურ, მოუკელ სმასაო, ჭობარელი ვერ გაუძლებს ხეოთურ დაღვინასო. როგორც სვამდნენ ხეოთში ამაღ ანზორაც კმარაო, დროშას არავის უთმობდა, — ლუკინმა დამიბარაო... ტაქსისტმა მთვრალი იშოვა, ხეოთში აიყვანაო, ხეოთმაც მთვრალი, უცნობი, თავისად მიითვალაო. ის ომორელი აღმოჩნდა, — ნაბახუსევეზე ბრძანაო; დიდი ზეიმი მოუწყეს, ეს როგორ დაგვემგვანაო. ხეოთთან ღვინის ჭიდილში სვირსაც არ ეყო ძალაო და რეგიონის სმის დროშა ხეოთმა აფრიალაო. სმას რომ მოუკლეს ხეოთში, ტოლოშია გაიხარაო, — ახლა დროშას ჩვენ წავიღებთ, რაც იგრიალეთ, — კმარაო! ღვინომ თქვა: ნუ მეჭიდებთ, წამიქცევია ხარიო, ყველას ექითან მივიყვან, ვინც ზომა იცის ღვინის სმის მას ვუხალისებ წლებსაო, მასთან ვმეგობრობ ბოლომდე, მასვე ვურჩევ სხვებსაო. ღვინო გვეკლავს, ღვინო გვახარებს, მაცდურნი, ავ-კარგიანი, ხან გვიმსუბუქებს ცხოვრებას, ხან მოაქვს მხოლოდ ზიანი.



გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: [WWW.SCFI.CO](http://WWW.SCFI.CO); fcoo: ლიტერატურული მესხეთი

**ლაგოქანაბლანი:** ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე  
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე  
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში.  
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.  
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24, lit.shti@il.co, lit\_meskheti@yahoo.com